ეს არავისთვის გაუგებარი არ გახლავთ, გარდა მთავრობისა, რომელიც გადასახადების ყოველ მორიგ მატებაზე ომბიანად აცხადებს, რომ ფასების ზრდა მოსახლეობისთვის კატასტროფული არ იქნება და არც ყველა სახის პროდუქტს შეეხება. არადა, მშვენივრად იცის, რომ ენერგოშემცველებზე ტარიფების ზრდა სწორედ იმდენი პროდუქტებზე ფასების კატასტროფულ მატებას იწვევს. ამის უტყუარი მაგალი-

### ვეტარინარია

ბოლო დროს, გურიის, სამეგრელოსა და იმერეთის ზოგიერთ სოფელში ვირუსი გაჩნდა, რომელიც ღორებს აავადებს და კლავს. ამ საკითხზე კომენტარი ვთხოვე სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის ვეტერინარული ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსს ქობა ძამაშვილს.

სოფლის მოსახლეობა ძალიან ზარალდება ღორების დაავადებით, რაც, როგორც წესი, მათ სიკვდილს იწვევს. საინტერესოა, შესწავლილია თუ არა ვირუსი და, საერთოდ, რა სახის ინფექციასთან გვაქვს საქმე?


ლაბორატორიული კვლევებით დასტურდება, რომ დაავადება, ცირკოვირუსების მიერ არის გამოწვეული, იგი ორგანიზმის რეზისტენტობას აქვეითებს, ანუ ქვეითდება გამძლეობის უნარი რაიმე დაავადების მიმართ, რითაც გზა ეხსნება ნებისმიერი ინფექციის აღმქვრელებს. აღნიშნული დაავადება ევროპის მრავალ ქვეყანაში გავრცელებული. მაგრამ საქართველოში საიდან შემოვიდა, ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

რა სიმპტომი ახლავს ამ დაავადებებს, ანუ როგორ უნ-

## ეს ღიჟყუნა ნოთუნოთი მდიუხ აჯარ გაკვიხდა...

და მივხვდეთ, რომ ღორი ამ ვირუსით დაავადდა?

ვინაიდან ვირუსი იმუნიტეტს აქვეითებს, ღორის სიკვდილიანობის მიზეზი სხვადასხვა დაავადება შეიძლება გახდეს, მაგალითად ისეთი, როგორც წითელი ქარი, კლასიკური ჭირი, შერეული ინფექციები. ამისდა მიხედვით, დაავადების ნიშნებიც განსხვავებულია. ძირითადად კი ხასიათდება მაღალი სიცხით (40-42 გრადუსი), დაავადებულ ღორს უკანა ფეხები წყდება. ხან წითელი ლაქები აღენიშნება, ხან - ლურჯი, დაავადების ხანგრძლივობაც განსხვავებულია.



შესაძლოა დაავადების გამოვლენიდან ორ საათში მოკვდეს პირუტყვი, ზოგიერთ შემთხვევაში კი ავადმყოფობა ორიდან ათ დღემდე გაგრძელდეს.

სამწუხაროდ, მსოფლიოში გამოცდილებით, აღნიშნულ დაავადებასთან საბრძოლველად ვაქცინაცია უშედეგოა.

თქვენი სამსახური როგორ აკონტროლებს დაავადებათა მიმდინარეობას და საშიშია თუ არა დაავადებული ხორცი ალამიანის ჯანმრთელობისთვის?

როგორც კი ინფექცია გამოვლინდა საქართველოში, ეროვნული სამსახურის ხელმძღვანელობამ ოფიციალური წერილებით მიმართა ბახრებისა და ბაზრობების დირექციებს, რათა გაამკაცრონ კონტროლი ხორცპროდუქტებზე, განსაკუთრებით კი ღორის ხორცზე. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, დაავადებული ხორცის სარეალიზაციო ქსელში მოხვედრის შემთხვევა არ ყოფილა. გარდა ამისა, ჩვენი სამსახური

სისტემატორ მონიტორინგს აწარმოებენ.

როგორც ვეტერინარები განმარტავენ, დაავადებული ცხოველის ხორცის მიღება ადამიანისთვის მიზანშეწონილი არ არის, არა მარტო ცირკოვირუსით დაავადების შემთხვევაში, საერთოდ ყველა ნებისმიერი ინფექციის დაფიქსირების დროს. ასე რომ, მოსახლეობას დასწავლული ხორცის მიღებისგან თავის შეკავებას ვურჩევთ.

რა პროფილაქტიკური ღონისძიებები ხორციელდება იმისთვის, რომ დაავადებამ ეპიდემიის სახე არ მიიღოს, ან საერთოდ, არის კი ამის საშიშროება?

სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის საქალაქო და რაიონული სტრუქტურების მობილური ჯგუფები სიკვდილის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის სპეციალისტებთან ერთად ახორციელებენ დაავადების საწინააღმდეგო კომპლექსურ ვეტერინარულ - საინტარულ და სამეურნეო-ორგანიზაციულ ღონისძიებებს, ადგილობრივი მმართველობის

ორგანოების მუშაკებზე ჩვენთან ერთად დადიან სოფლებში, დაავადებული ღორების მეპატრონეებს ვამარაგებთ სათანადო საინფორმაციო საშუალებებით, მასობრივად ჩატარდა და კვლავაც გრძელდება იმ სალონებისა და ტერიტორიის დეზინფექცია, სადაც დაავადება გამოვლინდა და ღორები დაიხოცა. აღსანიშნავია, რომ ყოველი ასეთი სალონე სპეციალურ აღრიცხვაზე გვყავს აქვანილი. ყველანაირ ვაკცინებთ იმისათვის, რომ დაავადების გავრცელების არეალი, რაც შეიძლება, ნაკლები იყოს.

ვიმეორებ, სპეციალური ღონისძიებები კვლავაც განხორციელდება. ეროვნული სამსახური მოუწოდებს სოფლის მოსახლეობას, იზოლირებულად იყოლონ შინაური პირუტყვი, გააუმჯობესონ მათი მოვლაშანახვისა და კვების პირობები, დაიცვან სანიტარული წესები. დაავადების თავიდან ასაცილებლად სასურველია, ღორებს მისცენ პრემიქსის (საკვები დანამატები).

შეიძლება თუ არა, ვირუსმა ფორმა იცვალოს?

აკი მოგახსენეთ, აღნიშნული ვირუსი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია აღნიშნული, იქ არსებული პრაქტიკით და გამოძიწნარე, დაავადების ცხოველიდან ადამიანზე გადასვლის ფაქტი არ დადასტურებულა. ასევე ცნობილია, რომ დაავადება არც სხვა ცხოველზე ვრცელდება.

ესაუბრა ნახი ივანიშვილი

ბევრი მეპურე მყიდველის დაკარგვის შიშით ერიდება პურის გაძვირებას და ისევე მასზე წონის დაკლება ამჯობინებს. მაგრამ როდემდე? ყველაფერს ხომ აქვს საზღვარი, მათ შორის პურის წონასაც და საფუარის ოდენობასაც, რომლის სიჭარბე ადამიანის ჯანმრთელობაზე არცთუ კეთილად მოქმედებს



ეროვნული გიგანტი

## ტარიფი

თბილისის ფასმა გაზის ტარიფის ზრდისთანავე 5-10 თეთრით მოიმატა. ეს ბუნებრივი ცვადა, რადგან პურპროდუქტების წარმოებაში გაზის საერთო წილი 12-15 პროცენტს შეადგენს. ეს იცის ყველამ, მაგრამ რატომღაც არ იცის მთავრობამ, რომლის მმართველობაში მყოფ ქვეყანაში არსებული პურის ქარხნების უმრავლესობა

თითქმის ყველა სახეობის პროდუქტებზე ფასების ზრდა მოჰყვება, რამაც სოციალურად დაუცველ მასას კიდევ უფრო წაუჭირა ყულფი ყელში. ალარაფერს ვამბობ ინფლაციაზე, რომელიც, ხელისუფლების მტკიცებით, არცთუ დიდად აწუხებს მოსახლეობას. მაგრამ ერთი წუთით შევეშვათ გაჭირვებულებს (მათ თავიანთი გაჭირვებაც ეყოფათ) და „ზემოთების“ ცხოვრების

როგორც იქიდან ვგებულობთ, მარტო 2004-2006 წლებში პრეზიდენტის ფონდმა ბიუჯეტიდან დაახლოებით 100 მილიონამდე ლარი მიიღო. მიიღო ერთია, მაგრამ რაში დახარჯა? „საქართველოს საბიუჯეტო სისტემების შესახებ“ კანონის მე-13 მუხლში ვკითხულობთ, რომ „საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სახსრები გამო-

„ვარდების რევოლუციის“ საიუბილეო კონცერტისთვის 2004 წელს დაიხარჯა 200 ათასი, ხოლო 2005 წელს 300 ათასი ლარი. იტალიაში ვიზიტისათვის პარლამენტარების მივლინების ხარჯებმა 33 100 ლარი შეინირა (განკარგულება № 129); თავისუფლების მოედანზე გამართული რუსლანას კონცერტი 123 ათასი ლარი დაჯდა. და ეს მაშინ, როცა პრეზიდენტმა იმავე პერიოდში სტიქიით დაზარალებულთათვის მხოლოდ 4 ათასი ლარი გაიმეტა; „პატრიოტების“ კონცერტში მიხეილ სააკაშვილმა „აუცილებელი ხარჯების“ მითითებით 80 ათასი ლარი გაიღო (განკარგულება № 683); სამეგრელოში ჩატარებული ავტორალი 30 ათასი ლარი დაჯდა (განკარგულება № 840), ფესტივალი ბათუმში - 75 ათასი ლარი (განკარგულება № 7330), გიორგი არველაძის მივლინება მოსკოვში - 2116 ლარი (მოტივი მითითებული არ არის) და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ლატაკი ხალხის კისრიდან გადასახადებითა და რეკეტივით ამონოვილი საბიუჯეტო თანხების ჰაიპარად ხარჯვაში პრეზიდენტს არც ქვეყნის პრემიერი ჩამორჩება. მთავრობის განკარგულებით 120 ათასი გირვანქა სტერლინგი გამოიყო ლონდონში ბიზნეს შეხვედრების მოსაწყობად და სტატიის გამოსაქვეყნებლად; ტელეკომპანიებზე „სი-ენ-ენ“-სა და „ევრონიუსზე“ რეკლამის განსათავსებლად - 100 ათასი დოლა-

რი და 60 ათასი ევრო; საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა წასახალისებლად - 34 800 ლარი... ალბათ აჯობებს, აქნერტილი დავსვათ, თორემ ქვეყნის პრეზიდენტისა და პრემიერის, საერთოდ, ხელისუფალთა ნაღვანის ჩამოთვლა შორს ნაგვიყვანს და მთავარ სათქმელს აგვაცდენს. მთავარი კი, ჩემი აზრით, ის გახლავთ, რითაც წერილი დავიწყეთ: ერთი ყოველთვის მეორის გალატაკების ხარჯზე მდიდრდება. ასევე ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაშიც - მთავრობა მდიდარია, ხალხი - ლატაკი. მდიდარს კი ვერ დაუშლი, უქმად ნაშოვნ ფულს უნდა საზღვარგარეთულ ვოიაჟებში დახარჯვას და უნდა საქართველოში საგასტროლოდ ჩამოსული ვარსკვლავების დაფა-ზურნაში. არავინ იფიქროს, რომ მოჩვენებითი დემოკრატია და სოციალური უსამართლობა ერთმანეთთან შეუთავსებელი ცნებებია, ფაქტობრივად ისინი უერთმანეთოდ არ არსებობენ, უფრო მეტიც - ერთმანეთს ურთიერთავსებენ. შორს წასვლა რად გვინდა, ამის უტყუარი დასტური დღევანდელი საქართველოა.

ოთარ სუციშვილი

# შემოსავლები - ავღანური

პურს კვლავაც ძველ, საბჭოეთის პერიოდში დამონტაჟებულ ლუმენებში აცხობს, რაც ბურჟუაზიულ ენერგეტიკულ ხარჯებს ითხოვს. ამის მიუხედავად, ბევრი მეპურე მყიდველის დაკარგვის შიშით ერიდება პურის გაძვირებას და ისევე მასზე წონის დაკლებას ამჯობინებს. მაგრამ როდემდე? ყველაფერს ხომ აქვს საზღვარი, მათ შორის პურის წონასაც და საფუარის ოდენობასაც, რომლის სიჭარბე ადამიანის ჯანმრთელობაზე არცთუ კეთილად მოქმედებს. ახლა თუ ამას უხარისხო, იაფფასიან ფქვილსაც დაუშობტებთ, რომლითაც პური ცხვება, მომხმარებლის საიქიოში გასასტუმრებლად სხვა ხარჯის განწვევა საერთოდ აღარც დაგვჭირდება. ეს რაც შეეხება პურსა და გაჭირვებულებს. აქ პური მოვიყვანე მაგალითად, თორემ ქვეყანაში გადასახადების მატებას

კულუარებშიც შევიხედოთ, ვნახოთ „ქვემოთები“ მათ წყალს ხომ არ უმღვრევენ? თურმე უმღვრევენ და ძალიან მაგრადაც. პრეზიდენტმა თავის სარეზერვო ფონდი ჯიბის ფულად აქციაო, - ამბობენ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები და მას ამ ფონდის ხარჯვის არამიზნობრიობასა და უკანონობაში ადანაშაულებენ. დავიჯერო, პრეზიდენტი, რომელიც ქვეყანაში კანონის უზენაესობის სიმბოლოა, ამას დაუშვებდა ან თუნდაც იკადრებდა? პრეზიდენტისა რა მოგახსენოთ, მაგრამ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ კი იკადრა და ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიშიდან პრეზიდენტის ფონდის ხარჯვის დოკუმენტაცია ამოიღო. თანაც მარტო ამოიღება არ აკმარა და სააშკარაოზე (პრესაში) გამოვიწია.

იყოფა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ისეთი საგანგებო შემთხვევებისათვის, როგორიც არის ბუნებრივი და სხვა სახის კატასტროფები და გაუთვალისწინებელი სახელმწიფო ვალდებულებები“. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ როგორც „ახალგაზრდა იურისტები“ ამტკიცებენ, პრეზიდენტმა ფონდის თანხები სულ სხვა მიზნით გახარჯა! თანაც იურისტთა ასოციაციამ პრეზიდენტის განკარგულებებსა და სარეზერვო ფონდის რეალურ მოცულობას შორის თითქმის 25- მილიონიანი სხვაობა აღმოაჩინა (!). მაინც, რაში დახარჯა პრეზიდენტმა ფონდის თანხები? ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატისთვის საშსახურებრივი ავტორანსპორტი შეიძინა, რაშიც 60 ათასი ლარი დაიხარჯა (განკარგულება № 911);

## გაზნაბელი




ალბათ ბევრს ახსოვს, შარშან ამერიკულმა თეთრმა პეპელამ დასავლეთ საქართველოს რამდენიმე რაიონის ველ-მინდვრებს როგორი მუსრი გაავლო. ამ მავნებელმა, რომელიც 200-დან 2000-მდე კვერცხს დებს, 15-20 ათასი ჰექტარი ფართობი დააზიანა. სწრაბათი უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური წლეულის მას-ივნისიდან ამ მავნებელი მწერის წინააღმდეგ ფართომასშტაბიან ღონისძიებებს განხორციელებას გეგმავს. ეროვნული სამსახურის მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ლიპარტიამ განაცხადა, რომ ძირითადად ღონისძიებების განხორციელება უპირველესად მაღალი რისკის ზონებში - ზუგდიდში, ხობში, ლანჩხუთში, ოზურგეთსა და ფოთში იგეგმება. ეს დაახლოებით 6-7 ათას ჰექტარია. სახელმწიფომ ამ ღონისძიებებისთვის წლეულს ბიუჯეტში

# პეპელა ყძახე შენ და!..

650 ათასი ლარი გამოყო. ამერიკული თეთრი პეპელა განსაკუთრებული საშიში საკარანტიზო მავნებელია, რომელიც 300-მდე სახეობის მერქოვან, ბუჩქოვან და ბალახოვან მცენარეებს აზიანებს. იგი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გვხვდება, საქართველოში კი პირველად 1976 წელს სამტრედიის რაიონში გამოჩნდა. 90-იან წლებში შექმნილმა რთულმა ეკონომიკურმა ვითარებამ შეაფერხა ამ მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლა, რამაც ხელი შეუწყო დასავლეთ საქართველოში მის გავრცელებას. არ არის გამორიცხული, რომ წლეულსაც იგივე განმეორდეს, ამიტომ აუცილებელია მის წინააღმდეგ კომპლექსური ღონისძიებების განხორციელება. ეს ითვალისწინებს როგორც აგროტექნიკურ და მექანიკურ, ისე ბიოლოგიურ და ქიმიურ ნამლობას. ამჟამად საქართველოში მავნებლის მაღალი გავრცელების ზონებია ფოთის, ზუგდიდის, ხობის, ოზურგეთის, ლანჩხუთის რაიონები, აჭარისა და აფხაზეთის ა. რ., საშუალო გავრცელებისა - აბაშის, მარტვილის,

სენაკის, ჩხორონყუს, ჩოხატაურის, ხონის რაიონები, დაბალი გავრცელებისა - ქ. ქუთაისი, ხარაგაულის, სამტრედიის, ზესტაფონის, თერჯოლის, ბაღდათის, ვანის, წყალტუბოს რაიონები. სურამის ქედი ბუფერული ზონაა, გამყოფია საკარანტიზო ზონისა და მავნებლისგან თავისუფალ ზონას შორის. პეპელა იკვებება 300-ზე მეტი სახეობის მცენარით, ხეხილის, ტყის ჯიშების, დეკორატიული მცენარეების, ვაზის, სიმინდის და ბოსტნეულ-ბაღჩეულის კულტურების ფოთლებით, უპირატესობას ანიჭებს თუთას, ამერიკული ნეკერჩხალს, კაკალს, თხმელას, ვაშლსა და მსხალს. იგი მთლი-

ანად აშიშვლებს მცენარეს, რის შემდეგაც დაზიანებულ მცენარეზე ქერქიჭამიები სახლდებიან. თუ ამერიკული თეთრი პეპელა ზედიზედ რამდენიმე წელი მოქმედებს, მცენარე ხმება. ამიტომაც ამ მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს თითოეულმა სოფლის მცხოვრებმა. ამიტომაც მათ საყურადღებოდ აღვნიშნავ, რომ აგროტექნიკური და მექანიკური ღონისძიებები ხორციელდება შემოდგომა-გაზაფხულზე. მოზამთრე ფაზების გასანადგურებლად აუცილებელია ხეებზე გამხმარი ქერქის ჩამოფხვება, ნაფხეკის, ჩამოცვნილი ფოთლებისა და ნახსლავი ტოტების შეგროვება-დანვა, ხეების ქვეშ ნიადაგის ღრმად შემობარვა და მორწყვა, ხეებზე საჭერი სარტყლების გაკეთება... პეპლის მასიური გამოფრენის ვადების დასადგენად საჭიროა ფერომონიანი სექსმჭერის (5 ცალი 1 ჰა-ზე) ან ქარხნული წესით დამზადებული სანთლის გამოყენება.



ნაზი იხანიშვილი

## ინფორმაცია

ბალს ახალი ხელმძღვანელი ჰქვას აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი სერგეი ბალაფში გალს ესტუმრა და გალის რაიონის ადმინისტრაციის ახალი ხელმძღვანელი ბესლან არშბა მოსახლეობას პირადად წარუდგინა. - ახლა ახალი ხალხის დრო მოვიდა. მოვიდა ჩვენი ახალგაზრდობისთვის ქვეყანაზე ზრუნვის საშუალების მიცემის დრო. მოხარული ვარ, რომ საშუალება მაქვს პირადად წარგიდგინოთ თქვენი რეგიონის ადმინისტრაციის ახალგაზრდა ხელმძღვანელი, - განაცხადა ბალაფში მაცხოვრებლებთან შეხვედრისას. მისივე თქმით, აფხაზეთის ხელისუფლების პოლიტიკა გალის რეგიონის მიმართებაში, რეგიონის ეკონომიკური აღორძინებისკენაა მიმართული. - შენების დრო მოვიდა. ომი წარსულში უნდა დარჩეს. ჩვენ გვინდა, გალის რეგიონი აყვავებული და მშვიდობიანი ვიხილოთ, - განაცხადა ბალაფში. X0-308-360

№ 100. საკვანძო. 29 მაისი, 2007 წელი.

# „სიღერა სიბერელოვ“

• ხობის საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზაციის ხელმძღვანელი იმედიანა ხალხური სიმღერის აღორძინების საპროექტი დენტო პროგრამაში



ფესტივალის ორგანიზატორი გოგორაძე ბუკია

## 2-3 ივნისს ხობი მესამე საერთაშორისო ფესტივალს უმასპინძლებს

კლორის უიშვიათესი ნიშნულზე ბის მოძიება და პოპულარიზაცია საერთო სახალხო საზრუნავი უნდა გახდეს, - გვეუბნება გოდერძი ბუკია.

— ხობის ფესტივალის სახალხო სიხარულის, ურთიერთგაგების გარდა შთამბეჭდავ „ნივთიერ კვალს“ - ახალ-ახალ ნივთებს, სანოტო კრებულებს, უნიკალურ აუდიოვიზუალურ ტოვებს, რომელიც ძალიან ჭირდება

რანგეთის, გერმანიის, ირლანდიის, ნორვეგიის, შოტლანდიის, ავსტრიის, აზერბაიჯანის, სომხეთის ფოლკლორული ანსამბლები, ვოკალური ჯგუფები და ინდივიდუალური შემსრულებლები. ყველაზე სასიამოვნო ის იყო, რომ უცხოელები მონდომებით ასრულებდნენ ქართულ ხალხურ (მეგრულ) სიმღერებს.

საგანგებოდ ფესტივალისთვის რამდენიმე ახალი სიმღერა დაინერგა, გამოვიდა მონოგრაფია — „ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები“ (სამტომეული), სანოტო კრებულები, მეგრული სიმღერების ოთხი კომპაქტ-დისკი, „ქართული ხალხური მუსიკა“ (ორტომეული) და სხვ.

ეს გამოცემები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის კულტურულ ცენტრებსა და ბიბლიოთეკებში დაიგზავნა, რაც მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს ჩვენი ეროვნული პოლიფონიის პროპაგანდას.

ხობის მეორე საერთაშორისო ფესტივალის მასშტაბებმა ცხადყო, რომ ეს არის საერთო-სახალხო დღესასწაული, ჩვენი დღევანდელი ახალგაზრდობის ეროვნული ცნობიერებით აღზრდის საუკეთესო საშუალება. გლობალიზაციის ეპოქაში ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

სწორედ ამიტომ, ხობის საერთაშორისო ფესტივალს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II და ლოცვა-კურთხევას არ აკლებს მის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს.

წლებადღე, რიგით მესამე ფესტივალზე მრავალი სიახლე: იხსნება ქართული ხალხური სიმღერის მუსიკაში (სამეგრელო), უკვე მოეწყო ხობის ჩამწერი სტუდია, გამოიცა „ქართული ხალხური სიმღერის კატალოგი“ (1901-1950-იანი წლები); ცნობარი — „ქართული ხალხური სიმღერის ლოტბარები“; ახალი კომპაქტ-დისკები — მეგრული და მეგრულ-აფხაზური სიმღერების ჩანაწერებით.

უკვე შეჯამდა საფესტივალლო გამოცხადებული ახალი სიმღერების კონკურსი. პირველი ადგილი არავის მიანიჭებია.

P. S. რამდენიმე წლის წინათ ჩემმა თანაკურსელმა, ცნობილმა ჟურნალისტმა და მომღერალმა, ანსამბლ „ქართული ხმების“ ერთ-ერთმა სულისჩამდგმელმა და სწორუპოვარმა მოკრიმანჭულემ თემურ ჭკუასელმა დაწერა ნიგნი (ნარკვევების კრებული) „წინ, წინაპრებისაკენ“. ვისარგებლე მისი თავაზიანი ნებართვით და ეს უძვირფასესი, გაუხუნარი ფრაზა კიდევ ერთხელ სათაურად შევთავაზე მკითხველს. თუ წინაპრების სიბრძნეს, რაინდობას, თავდადებას ხშირად გავითავისებთ, უთუოდ გადავგრჩებით, გაუმრავლდებით და... ქართულ სიმღერებსაც შემოვცახებთ!

მეორე ადგილი გაიყვეს ნუნუ დულაშვილმა, მარიკა კვალიაშვილმა და ვაჟა აზარაშვილმა. მესამე ადგილი დაისაკუთრა ჯუმბერ ჯანდიერმა, წამახალისებელი პრემია მიეკუთვნა ოთარ ტატიშვილს.

ფესტივალზე ახალ სიმღერებთან ერთად, პირველად აუღებდა ლეგენდარული გოგი ცაბაძის სიმღერა ხუტა ბერულავას ლექსებზე.

ფესტივალის მშვენიერება, რატომ უნდა, საქართველოს და რუსეთის სახალხო არტისტის ზურაბ სოტკილავას საიუბილეო საღამო იქნება. ბატონი ზურაბი, როგორც ხობის ფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზატორი და „კოლხური სუიტის“ უბადლო შემსრულებელი, საგანგებოდ ემზადება წლებადღეი ზეიმისთვის. მუსიკატმცოდნე დოდო გაგუამ შესანიშნავი მონოგრაფია უძღვნა ზურაბ სოტკილავას.

საოცრად მიგნებულად წერს დოდო გაგუა: „ჩემთვის ბიზნესი ხელოვნებაა. ფესტივალის ორგანიზატორები პროფესიონალები არიან. გოდერძი ბუკიამ იცის ხელოვნების გემო და ფასი. ხობის საერთაშორისო ფესტივალის არ არის რიგითი ღონისძიება, მე მას ისტორიულ მნიშვნელობას ვანიჭებ“.

ჭეშმარიტად, ეს უკვე ტრადიციული, საქართველოს სხვა მხარეებისთვის გადამდები, ისტორიული ღონისძიებაა. გოდერძი ბუკიამ და მისმა მეგობრებმა — ანზორ ერქომაიშვილმა, გომარ სიხარულიძემ, ემირ ბურჯანაძემ, ალექსანდრე ბასილიამ, ვახტანგ როდონაიამ, გოგი ქავთარაძემ, პაატა ბურჭულაძემ, გურამ ახალიამ, ბადრი ბერაიამ, ზაზა გოროზიამ, ზურაბ ერქვანიამ, კოტე კემულარიამ, მარიამ მიქაძემ, მერაბ ჭოჭუამ, ვლადიმერ ჯანდღავამ ლამის მთელი საქართველო ხობისკენ მიახედეს და მონაწილეობით ქუდი მოახდევინეს.

ეჭვგარეშია, სამეგრელოს და გურიის მალე იმერეთი, ქართლ, კახეთი, რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთიც მიბაძავენ.

ქართული ხალხური სიმღერის გადარჩენა და აღორძინება ქართული სულის, ქართული ცნობიერების გადარჩენას ნიშნავს.

საპრეტაბო მოვულისი

არსად შექმნილა, რამდენიც სა-მეგრელოში.

ამ სიმღერების მადლი და სიყვარული მოჭარბებულად უბოძა ღმერთმა ქუკუ ლოლუს, კინი გეგეჭკორს, ვლადიმერ ბაბილუს, რემა შელეგიას, კირილე პაჭკორიას, პლატონ ფანცულაიას, ელენე ჭუბაბრიას, ნოკო ხურციას... რა გულდასაწყვეტია, რომ მათი შორეული წინაპრების ხმამ ჩვენამდე ვერ მოაღწია.


სანოტო ჩანაწერების სახით მეგრული სიმღერების გამოშვებულება მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება... მეოცე საუკუნეში ზემოთ ჩამოთვლილი ლემოთვლილი გენდარული მომღერლები და ლოტბარები აქტიურად მოღვაწეობდნენ და ფოლკლორის მოამაგე მათმა უმცროსმა კოლეგებმარის ვაივაგლახით შეძლეს მათი ხმების ჩანერა და ოქროს ფონდში შემონახვა.

2003 წელს ხობის რაიონის მკვიდრმა, ჩვენი გაზეთის მკითხველთათვის კარგად ცნობილმა ბიზნესმენმა და ქველმოქმედმა, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ხობის“ პრეზიდენტმა, საქართველოს პარლამენტის წევრმა გოდერძი ბუკიამ საოცარი ზნეობრივი გამირობის მაგალითი გვიჩვენა, — თავის თანამოაზრეებთან ერთად ქართული ხალხური სიმღერების პირველი საერთაშორისო ფესტივალის გამართა.

ამით გოდერძი ბუკიამ მძლავრი ნაბიჯი გადადგა წინ, წინაპრებისაკენ.

— მადლობა უფალს, რომ ჩემი მეგობრების, თანამოაზრეების, ქართული ხალხური სიმღერის თავყვანისმცემლების თანადგომით მეგრული სიმღერის ფესტივალის ჩემს მშობლიურ ხობში ჩავატარე და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი: საქართველოს უმდიდრესი ისტორიული წარსულის, ფოლ-

# წინ, წინაპრებისაკენ!



ხობი 2007 მხატვარი ემირ ბურჯანაძე

ჩვენს ახალგაზრდობას, — გვეუბნება ფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრის სამხატვრო საბჭოს თავმჯდომარე ანზორ ერქომაიშვილი.

ხობის საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზაციის ხელმძღვანელი იმედიანა ხალხური სიმღერის აღორძინების საპროექტი დენტო პროგრამაში.

2004 წელს ხობელებს გურული ხალხური სიმღერების მოტრფიალეებმა მიბაძეს — ოზურგეთმა არანაკლებ შთამბეჭდავ ფესტივალს უმასპინძლა.

2005 წლის 17-19 ივლისს, ხობის რიგით მეორე საერთაშორისო ფესტივალზე სიამოვნებით ჩამობრძანდნენ ამერიკის, რუსეთის, თურქეთის, დიდი ბრიტანეთის, საფ-

ფოლკლორისტიკის აღიარებით მეგრულმა ხალხურმა მუსიკალურმა აზროვნებამ მრავალსაუკუნოვანი განვითარების პროცესში მეტად საინტერესო, ლოკალური, მხოლოდ ამ მხარისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები გამოიმუშავა, რითაც მნიშვნელოვნად გაამდიდრა ზოგადქართული მუსიკალური ენა და ქართული ხალხური მუსიკის საგანძურის ხალხური სიმღერა, ხალხური ცეკვა, ხალხური პოეზია...

ეს უკანასკნელი, — ხალხური პოეზია, ალბათ, პირველი შეიქმნა, რადგანაც „უპირველესად იყო სიტყვა“... თუმცაღა, სიმღერა სიტყვაზე ძლიერია, სულის სათუთი სიმია, სიმებს კი ხშირად სიტყვა აღარც ჭირდება.

ძარბაზული ხალხური სიმღერა, კოსმოსში გატანილი „ჩაკრულო“, მსოფლიოს მერვე საოცრებად აღიარებული ფენომენი...

მეგრული „ნანა“, „ჩონგური“, „მა დო ჩქიმი არაბა“ — საოცრად ადამიანური სიბო, სიღობ, სევდა; „ოდოია“, „კუჩხი ბედინერი“, „პარირა“ — რწმენა, გამხნელება, იმედი.

ოთარ თაქთაქიშვილის „კოლხური სუიტა“ ზურაბ სოტკილავას შესრულებით — მეგრული სიმღერების სიტყბოთი მოგვრილი განუმეორებელი სიამოვნება...

— სამეგრელოში შერწყმულია ქუჯი ეგრისელის სიბრძნე, გიორგი ჭყონდიდელის მნიშვნელობა, ცოტნე დადიანის რაინდობა, კონსტანტინე გამსახურდიას ეროვნული სულისკვეთება, იოსებ ყორღანიას კაცთმოყვარეობა, ყიული შარტავას და სხვა მრავალთა გემოვნა და თავდადება, — გვამხნევენს დიდი პოეტი შოთა ნიშნისანიძე.

და სხვა მრავალთა... ეჭვგარეშია, პოეტი გარდასულ საუკუნეთა უსახელო გმირებს გულისხმობს, რომლებიც „უბრალოდ“ შრომობდნენ, ქმნიდნენ, მაშულს მტრისგან იცავდნენ და ხვიჩა-ხვიჩა ვარსკვლავებს — ბავშვებს ზრდიდნენ.

„მზე დედა ჩემი, მთვარე — მამაჩემი, და წვრილ-წვრილი ვარსკვლავები და და ძმა ჩემი“, — ზეციურ სიმბოლოებთან გათანაბრებული იმდენი ხალხური ლექსი და სიმღერა



ეკუ ლოლა



ხობი. ეკუ ლოლას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმი (სამეგრელო)

№ 100. სამაგალიტი. 29 მაისი. 2007 წელი.

● გაუზარებელი რეფორმების „უხილავი ძალა“ ყოველმხრივ ანადგურებს საქართველოს, რისი დანახვაც არ სურთ დღევანდელ ლიდერებს



ეროვნული გიგანტი

## ● ჩვენაუბრები

# ფერეიდნელი ქართველები

ეს იყო ზუსტად 392 წლის წინათ. 1614-17 წლებში ქართველი ხალხის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ტრაგედია მოხდა, — შაჰ-აბას პირველმა ათეულ ათასობით ქართველი გაუყენა ისპაჰანის, მაზანდარანისა და ფერეიდანის გზას.

ასე იყო თუ ისე, სპარსეთის მიწაზე უკვე იმ წლებიდან გაჩნდა ქართული მარტყოფი, ჩუღურეთი, რუსპირი, ვაშლოვანი და ასე შემდეგ. გაჩნდნენ ქართული უბნები თუ დასახლებები და იქაც დამკვიდრდნენ ქართველები! გაჩნდნენ და დარჩნენ ხელშეუხებელი გენით, ქართული გენითა და სულიერი სიბეჯით თითქმის უცვლელი.

...მერე გადაგორდა საუკუნეები და, მხოლოდ მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში ვინაღაც ქვეყანა ქართველს მოუვიდა აზრად მოენციათ ფერეიდნელი ქართველები ისტორიულ სამშობლოში საცხოვრებლად.

მახსოვს, რამხელა ზეიმი იყო კახეთის ცის ქვეშ, როდესაც პირველი ფერეიდნელი მოსახლეები ჩამოვიდნენ საქართველოში! იყო დიდი ცრემლი და დიდი სიყვარული, მაგრამ... სხვა დრო იყო მაშინ, სხვა დრო და სხვა პოლიტიკა, „ბრძანებები“ ჩრდილოეთიდან მოდიოდა! რაღაც არ მოეწონა იმ „ბრძანებებს“ და ორიოდ ფერეიდნელს გარდა, გულდანწყვეტილები ფერეიდანშივე დაბრუნდნენ.

...ახლა განსაკუთრებული გაფაციცებით ვუგაგებთ ყურს ქართულ სიმღერებს, ჰანგებს, რომელსაც მშობლიურ ძუძუს დაბრუნებული ფერეიდნელი სიხლი და ხორცი მღერის!

მღერიან ფერეიდნელი ქართველები!

ისინი თბილისის ბუნებათსარგებლობის ინსტიტუტის მო-

სამზადებელ ჯგუფში სწავლობენ: — ლექსო და ნიკო ონიკაშვილები, ლევან და გიორგი ხუციშვილები, რატი ლაჩინაშვილი, იაკობ ბახტაძე, კახაბერ მოლაშვილი, დავით გუგუნაშვილი, დანიელ ლომაძე, ლექსო დარჩიაშვილი და ნათია თავაძე! კიდევ არიან სხვებიც, სულ 25-მდე ფერეიდნელი ეზიარა მშობლიური ცისა და მიწის ძირძველ მადლს და მათ გაცისკროვნებულ თვალებში, ნამდვილად რომ, ხვალისდელი დღის სილამაზე იმზირება...

— მალე ქორნილი გვექნება! — მეუბნება ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ვახტანგ თოიძე, — ლექსო ონიკაშვილს უკვე ჰყავს აქაური გულის სწორი! — ლექსო კი, ილიმება და ოდნავ მორცხვობს.

— დიას! ჩვენ დავექორნინდებით! სოხუმიდან არის, მშობლებმა უკვე იცინა...

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ლალი უდულაშვილი და პედაგოგი ნათია მაგრაქველიძე ასწავლიან ფერეიდნელებს ქართულ ენასა და ლიტერატურას.

... თუმცა, როგორც იტყვიან, სალაპარაკო ქართული მათ შესანიშნავად იციან. იქ, ფერეიდანში სირცხვილადაც კი მიაჩნიათ, ქართველმა ქართული არ იცოდეს!... ყოველ ოჯახში ეს ტრადიცია დევს! საქართველოდან ჩამოტანილი „დედაენიდან“ ქსეროქსი გადაულიათ და იმით სწავლობდნენ მშობლიურ ენას. გარდა ამისა, ფერეიდნელ ქართველ მოღვაწეებს თვითონ შეუდგენიათ ქართული ენის სახელმძღვანელო.

— მათგანაც ბევრ რამეს ვსწავლობთ... სწორედ ფერეიდანში შემორჩა, თითქმის ოთხასი წლისწინანდელი ქართული

სიტყვა, რომელიც მათ ჩვენამდე მოიტანეს! ინსტიტუტში ისინი ჯერჯერობით მოსამზადებელ ჯგუფში სწავლობენ და გარდა ქართულისა, ეუფლებიან საქართველოს ისტორიას, სოფლის მეურნეობის და ეკოლოგიის საკითხებს, სამართალმცოდნეობას, ასევე ქართულ ფოლკლორს, ქართულ საკრავებს, ქართულ სიმღერებს... შესანიშნავად მღერიან! ამას წინათ ტელევიზიითაც კი გადაიცა მათი კონცერტი...



— ბატონო ვახტანგ, როგორ აქვთ მოგვარებული საბინაო და სხვა საყოფაცხოვრებო პირობები?

— საპატრიარქოში სასწავლებლად ჩამოსული სტუდენტებისთვის ორსართულიანი სახლი შეიძინა და იქ ცხოვრობენ! აქვთ უფასო კვება და საშუალება, საფუძვლიანად გაეცნონ თავიანთ სამშობლოს. ამ ყმანვილების მეურვე, სწორედ, საპატრიარქო გახლავთ და მოგესხენებათ, როგორ დონეზე იქნება აყვანილი ეს საკითხი...

...ნათია თავაძე მეუღლესთან ერთად ჩამოვიდა საქართველოში!

— მართალი გითხრათ, შორიდან ყოველთვის თვალყურს ვადევნებდი ჩემს საქართველოს... როცა გზა გაიხსნა, არც დავფიქრებულვართ, ისე წამოვედი! — შვილი გყავთ, ნათია?

— ჯერ არა!.. მეორე წელია რაც დავექორნინდი!.. გადავწყვიტეთ, საქართველოში დაბადებულიყო ჩვენი შვილი... ჩემი ოცნება იყო, ჩემს შვილს აქ, საქართველოში ახელოდა თვალი! ჰოდა, გავბედეთ!.. თეირანში ბინა გავაქირავეთ და ორი ჩემოდნის ამარა ჩამოვედი ჩვენს ისტორიულ სამშობლოში!

...ნათია და მისი მეუღლე, ლექსო დარჩიაშვილი პარალელურად, თბილისის ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში და სამხატვრო აკადემიაში სწავლობენ.

— ერთი პრობლემა გვაქვს... ბიჭები ცოლის შერთვას აპირებენ, უბინაობის გამო კი... მით უფრო, რომ ჩვენი ლექსოს, ონიკაშვილის, საცოლე თვითონ აფხაზეთიდან არის ლტოლვილი და!.. დანარჩენი, რა? ბიჭები თვითონ ეძებენ სამსახურებს, რომ „ჯიბის ფული“ მაინც ჰქონდეთ. ზოგი კომპიუტერზე მუშაობს, ზოგი ელექტრომუშაობის სურვილი აქვს, მამა-პაპათგან მიწათმოქმედება მიუღიათ შემკვიდრებულად!

„ბატონო ვახტანგ! გაგვიხარდა, როცა გავიგეთ თქვენი შესანიშნავი ინიციატივის შესახებ, — მისცეთ უფასო განათლება ბუნებათსარგებლობის ინსტიტუტში სწავლის მსურველ ფერეიდნელ ქართველ ახალგაზრდებს. საუკუნეებს გაუძლო მათმა სიყვარულმა, მათმა ლტოლვამ სამშობლოსაკენ. მიგვაჩნია, რომ თქვენ და თქვენი კოლექტივი აკათებთ დიდ და

მამული შვილურ საქმეს. თქვენთან ერთად ჩვენც გვინდა, მივიღოთ მონაწილეობა ამ საქმეში. შპს „კავკასია საქართველოს“ პატარა კოლექტივი თქვენს ინსტიტუტში სასწავლებლად მყოფ ფერეიდნელ ახალგაზრდებს ორი წლის მანძილზე უნიშნავს სტიპენდიას თვეში 100 ლარის ოდენობით თითოეულს. ამასთან, მათ შეუძლიათ ისარგებლონ ჩვენი სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მომსახურებით, საქართველოს უკეთ გაცნობის მიზნით კი, სპეციალურად მათთვის სისტემატურად მოვანყობთ ექსკურსიებს ქვეყნის მასშტაბით.

ღმერთი იყოს ყოველი ქართველისა და მთელი საქართველოს მფარველი!

პატივისცემით, შპს „კავკასია საქართველოს“ დირექტორი ცისანა ბაბუციძე.

...სწორად „პატარა კოლექტივები!“ უფრო ამშვენებენ და ამდიდრებენ ქვეყანას!..

...იქნებ გამოჩნდნენ უფრო „დიდი კოლექტივები“, რომლებიც თავიანთი სულის საოხად ლექსო ონიკაშვილსა და მის სოხუმელ საცოლეს მიაცილებენ ცხოვრების კარიბჭემდე! იქნებ, მიწა გამოუყოს ვინმე ფერეიდნელებს, ისინი ხომ საუკუნეების მანძილზე ლოცულობდნენ ამ მიწისათვის!

...ალბათ, ამიტომაც ეახლოებათ, ფერეიდნელებს ფერეიდნიდან საქართველომდე სავალი გზა!

ზაურ ფიფია

სურათზე: მღერიან ფერეიდნელები.

## ● დედაძალაძი

# მიხეკეთ ფონიჭარას!

ძვემო ფონიჭალაში ვაგზლის ქუჩაზე, იქ, სადაც სამხედრო დასახლება იყო, თავახდელი კანალიზაციის ჭიდან ამოდის ფეკალური წყალიმასა და გზისპირს მიუყვება. თუ ზამთარში ასატანია „მარადიული“ სიმყრალე, ზაფხულში — სულთამშუთავია... ამ ფაქტის შესახებ ყოფილმა ხელისუფლებამც კარგად იცოდა და ახალმაც იცის, მაგრამ...

...მას შემდეგ, რაც აქვე ახლოს გაიყვანეს ზემო ფონიჭალის დასახლების კანალიზაციის მილები, გაიოლდა მასზე მიერთება, მაგრამ ვისაც ევალეობა ამ პარტახტიანი ტიფის წყაროს მოსპობა, საქმეს თავს ვერ ართმევს.

თანაც უფულობას იმიზეზებენ. მეტსაც გეტყვი: ამავე დასახლების მეორე მხარეს სარწყავი არხი გადის, სადაც შარშან და წლეულს იქ წყალი არ გაუშვიათ... ამ არხზე კერძობინის მფლობელებს მიერთებული აქვთ თავიანთი საპირ-

ფარეშობის „წყალი“, რის გამოც აქ მყრალი სუნი წამლავს არეშარეს...

არხი, ძირითადად მეურნეობას და აქ არსებულ სოფელსაც ემსახურებოდა... მეურნეობაში წელიწადში რამდენიმე მოსავალი მოჰყავდათ და თბილისს უხვად ამარაგებდნენ ბოსტნეულით!

მეურნეობის ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე ხელისუფლებამ „უსახლკარო“ ხალხი დაასახლა, რითაც თბილისის ბაზრებზე ბოსტნეულის ფასი გააძვირა.

გაუზარებელი რეფორმების „უხილავი ძალა“ ყოველმხრივ ანადგურებს საქართველოს, რისი დანახვაც არ სურთ დღევანდელ ლიდერებს.

მათ თვალი, ალბათ, მაშინ აეხილებათ, თუ თავს ხალხის გამწარებულ ყოფაში ჩაიყენებენ.

თუმცა, ამის არავის სჯერა.


ზალვა გუმბაძე, საქართველოს ჟურნალისტა ფედერაციის წევრი

## ● ინფორმაცია

# კუპბრაჩას როგორ არ უნდა სცნობდით!

ჩატარებული მცირე გამოკითხვით, რომლის მიზანი იყო საზოგადოებისა და უზნის ინსპექტორების ურთიერთობის გარკვევის განსაზღვრა, დადგინდა, რომ 100 გამოკითხულიდან 68 საკუთარი უზნის ინსპექტორს არ ცნობს (არ იცის სახელი და გვარი, არ იცნობს ფიზიკურად).

100-დან 32 რესპონდენტს უზნის ინსპექტორთან სხვადასხვა სახის შეხება ჰქონია. მათ შორის 14 აცხადებს, რომ უშუალოდ შეესწრო უზნის ინსპექტორის ვიზიტს საკუთარ სახლში, 9 იცნობს სახეზე, ხოლო 6-მა რესპონდენტმა იცის სახელი, მხოლოდ 3-მა სახელი და გვარი. რესპონდენტების 11%-ის განცხადებით, მათ,



უზნის ინსპექტორი სახლში (ეზოში) თვეში ერთხელ მაინც აკითხავთ, 18%-ის განცხადებით, მოუსმენიათ, რომ სხვადასხვა დავებისა თუ გარემოებების გამო მათთან (სახლში, ეზოში) უზნის ინსპექტორი იყო მისული, ხოლო 71 აცხადებს, რომ მათი უზნის ინსპექტორის ვიზიტების ინტენსივობის შესახებ (სახლში, ეზოში) არაფერია ცნობილი.

100 გამოკითხულიდან 68 აცხადებს, რომ უზნის ინსპექტორების გავლენა „უზანში“ შექმნილ ვითარებაზე მინიმალურია, 18 გამოკითხულისთვის სხვადასხვა წყაროებიდან (ტელევიზია, ახლოობები, პირადი გამოცდილება) ცნობილია, რომ უზნის ინსპექტორები ოჯახური და მეზობლური დავების დარეგულირებას წარმატებით ახდენენ, 14 გამოკითხულისთვის საერთოდ უცნობია უზნის ინსპექტორის როლი და ფუნქცია.

XO-208-260

რას წერენ, რას ავსობენ ჩვენსა

## საქართველო და მოუკიდებლობის დღე აღნიშვნა

სამხედრო პარადი, ღირსეული ადამიანების დაჯილდოება, მგზნებარე სიტყვები - ყოველივე ეს მოხდა ისე, როგორც საჭირო იყო. და, როგორც ყოველთვის, საქართველოს პრეზიდენტის სიტყვა უხვად იყო შეზავებული სამხედრო პათოსით. „ჩვენ ვასუსხ ვაგვებთ მომავალი თაობების წინაშე იმისთვის, რომ ავაფრიალოთ საქართველოს გამარჯვების დროშები“, - განაცხადა პრეზიდენტმა სააკაშვილმა. მაგრამ საქართველოში აპირებენ არა სილარობისა და ტერორიზმის, არამედ „სეპარატისტების“ - აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამარცხებას...

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ქართული ჯარების სარდლობამ ატყუა განცხადება: დაპირისპირების ხაზის გასწვრივ ორივე მხარე აგებს საფორტიფიკაციო

ნაგებობებს. იმაში, რომ ქართველები და ოსები აქტიურად ემზადებიან ომისთვის, დარწმუნდნენ ეუთოს მეთვალყურეებიც, როცა დაათვალიერეს ქართული სოფლის ერგენტის ჩრდილოეთი გარეუბანი. როგორც სამშვიდობოთა სარდლის თანაშემწემ ვლადიმერ ივანოვმა თქვა, იქ გორიდან ჩამოყვანილი შეიარაღებული ქართველი პოლიციელები თხრიან ბლინდაჟებს და ქმნიან საცეცხლე ნერტებს. ოსი ძალოვანები კი ცდილობენ ცხინვალში, ყოფილი ტრაქტორების ქარხნის მიდამოებში, ძველი თავდაცვითი საცეცხლე ნერტის „რეანიმირებას“. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ზაფხულისთვის მოსალოდნელია „ცხინვალისთვის ბრძოლის“ მორიგი ეტაპი. თანაც, ამჯერად თბილისი ახალი გეგმით იმოქმედებს.

ოსური ქალაქი ცხინვალი, რა თქმა უნდა, სტალინგრადი არ

არის, თუმცა მას ოდესღაც ერქვა სტალინური. იგი უკვე მესამე წელია იგერიებს სააკაშვილის შემოტევებს. მაგრამ, ამჯერად, „ვარდების რევოლუციის“ ლიდერმა შეიმუშავა ახალი სტრატეგია. „ურჩი“ ცხინვალელი ოსების დაყოფის ნაცვლად, საჭიროა „კარგი“ ოსის გამოზრდა და მასთან ყველაფრის შესახებ მორიგების მიღწევა. ასეთი ადამიანი გამოიძებნა. იგი წარსულში იყო მოთარეშე, მონაწილეობდა 1989-92 წლების ქართულ-ოსურ ომში, მოგვიანებით გახდა სამხრეთ ოსეთის თავდაცვის მინისტრი, მაგრამ ედუარდ კოკოითის მოსვლის შემდეგ, იგი წარუმატებელი ბიზნესმენად გადაიქცა. ეს არის დიმიტრი სანაკოვეი, რომელსაც თბილისში უწოდებენ სამხრეთ ოსეთის „ალტერნატიულ პრეზიდენტს“, და რომელმაც უკვე განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთი დარჩება სა-



ქართველოს შემადგენლობაში. ახლა საჭიროა მხოლოდ ის, რომ დანარჩენი ოსები დაარწმუნონ ამაში.

მაგრამ, როგორც ჩანს, ოსი ხალხის აზრი დიდად არ აინტერესებთ. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოს სპეცსამსახურებმა შეიმუშავეს სამხრეთ ოსეთის დაპყრობისთვის გამიზნული სპეცოპერაციის გეგმა, რომელიც უნდა განხორციელდეს ყალბი არჩევნებისა და რეფერენდუმის გზით. როგორც ცნობილია, ცხინვალის დასაბრუნების მიზანმიმართული უმოკლესი გზა გადის ქართულ ანკლავზე. ამ ანკლავის სოფლებში ქართული სპეცსამსახურების საგუშაგოები დოკუმენტების შემოწმების საბაზით ახორციელებენ იქ ჩასული ოსების პასპორტების სკანირებას. ასეთი გზით ხდება სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთა მონაცემების ბაზის შეგროვება. ცხინვალში ვარაუდობენ, რომ ეს მონაცემები, ისევე როგორც ხელმოწერათა ნიმუშები, გამო-

ყენებული იქნება სანაკოვეისადმი დაქვემდებარებული ალტერნატიული პარლამენტის არჩევნების და იმ რეფერენდუმის შედეგების გაყალბებისთვის, რომლის დროსაც ოსები, ვითომდა, მისცემენ ხმას საქართველოს შემაღენლობაში რეგიონის დაბრუნებას.

საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას ფალსიფიკაციის კარგად ესწავლება. როგორც ისინი აცხადებენ, სანაკოვეის „არჩევნების“ დროს ქართულ ანკლავებში მონაწილეობდა 47 ათასი კაცი, თუმცა, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, იქ მხოლოდ 14 ათასი ამომრჩეველი ცხოვრობს. ასე რომ, სააკაშვილმა შესაძლოა მოაწყუოს მსოფლიო გაერთიანება, რომელსაც თვითონაც ძალზე სურს, რომ „მოტყუებული დარჩეს“.



№ 100. საგზაბათი. 29 მაისი. 2007 წელი.



მიხეილ სააკაშვილი:

## ჩვენ არ დაგვაპინყდება, თუ როგორ თამაშობდნენ ბაბრაში ფეხბურთს ქართველების თავებით

27 მაისს, სოფელ განმუხურში პატრიოტთა ბანაკის გახსნის დროს, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო არ აპირებს აფხაზეთზე იძიოს შური, თუმცა არც ის უნდა დავიწყებთ, რაც მოხდა ქართულ-აფხაზური შეიარაღებული დაპირისპირების დროს, რათა მომავალში ასეთი რამ აღარ განმეორდეს. განმუხურის საქართველო-აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის მახლობლად მდებარეობს.

როგორც სააკაშვილმა თქვა, „შურისძიების გრძნობა ძალზე საშიშნელი რამ არის და იგი საერთოდ არ ახასიათებს ქართველ ხალხს. მაგრამ გაგრძობა დღემდე არსებობს ქართველების მასობრივი სამარხები, ამ ქალაქის სტადიონზე კი ქართველების მოკვებით თავებით თამაშობდნენ ფეხბურთს, და ზოგი-

ერთებს სურთ, რომ ჩვენ ეს დავივიწყოთ, დავხუჭოთ თვალი იმაზე, რაც მოხდა“. პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ აფხაზეთიდან ლტოლვილებს დაუბრუნებენ მთელ ქონებას, მათ შორის სახლებს, ჩაის პლანტაციებს, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს. „ქონება აფხაზეთში ეკუთვნის იმას, ვისაც აიძულეს დროებით დაეტოვებინა იგი. აფხაზეთში საკუთრებასთან დაკავშირებით დადებული ყველა უკანონო გარიგება ბათილია“, - განმარტა სააკაშვილმა. როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, აფხაზეთში მოხდება ის, რაც თავის დროზე მოხდა აჭარაში იმ სახლებთან და სანატორიუმებთან დაკავშირებით, რომლებიც ვითომდა ეკუთვნოდათ „ლუჯოვებს, ივანოვებს და სხვებს“. ახლა იქ ხორციელდება ბიზნეს-პროექტები, დააზუსტა მან.



კავკასიის უზუცესთა საბჭომ სთხოვა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს ცნოს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა და დაამყაროს მათთან ასოცირებული ურთიერთობა. უზუცესთა საბჭოს მიმართვა 25 მაისს გაავრცელა სამხრეთ ოსეთის ინფორმაციისა და პრესის კომიტეტმა.

განცხადებაში, კერძოდ, ხაზგასმულია: „სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დამოუკიდებლობა არის თანამედროვე გეოპოლიტიკური სიტუაციის რეალობა, რომლის იგნორირებაც, ისევე როგორც ერთა თვითგამორკვევის უფლების პრინციპის უგულვებლყოფა და ორმაგი სტანდარტების გამოყენება, არა მარტო უსამართლობაა, არამედ აქეზებს კიდევ საქართველოს იმისთვის, რომ განაგრძოს თავისი კურსი, რომელიც ეფუძნება პროვოკაციებს და პრობლემის ძალით გამოყენებით გააძაჭრის მცდელობას. იგი მართავს რუსეთის, იმ ქვეყნის უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, რომელთანაც სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ხალხებს აკავშირებს მრავალსაუკუნოვანი ძმობა და ისტორიული ერთობა, მივმართავთ თხოვნით რუსეთს, რომელიც სადღეისოდ არის რეგიონში მშვიდობის შენარჩუნების ერთადერთი გარანტი, ცნოს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის და აფხაზეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და დაამყაროს მათთან ასოცირებული ურთიერთობა. კავკასიის უზუცესთა საბჭო ასევე მხარს უჭერს დენსტრისპირეთის ხალხს სამართლიან მოთხოვნას მისი სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ“.

უზუცესთა საბჭო აღნიშნავს, რომ სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი უკვე 15 წელზე მეტია არსებობენ, რო-

## კავკასიის უზუცესთა პუტინს სთხოვენ, ცნოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა

გორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები და მათ სწრაფვას მიაღწიონ სუვერენიტეტის საერთაშორისო აღიარებას, აქვს სერიოზული სამართლიანი საფუძველი. უზუცესთა საბჭო საქართველოს ადანაშაულებს აფხაზეთის და ოსების გენოციდში, საბჭოთა კავშირის კი - აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის საქართველოსთან იძულებით მიერთებაში.

„ათწლეულების განმავლობაში თბილისის ხელი-სუფლება ახორციელებს ძალდატანებითი ასიმილაციის ოსების და აფხაზეთის კულტურული გენოციდისა და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთში დემოგრაფიული ბალანსის შეცვლისთვის გამიზნულ კურსს. საქართველოს ნაციონალისტურმა ლიდერებმა ესეც არ იკმარეს და 1980-იანი წლების დასაწყისში დააფხვან სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ავტონომიათა ლიკვიდაციის კურსს. აფხაზეთის და ოსების მცდელობას, შეექმნათ თავიანთი ავტონომიური სტატუსის სამართლიანი გარანტიები, ქართულმა მხარემ უპასუხა შეიარაღებული აგრესიით და სასტიკი ტერორით. არის იმის უშუალო მტკიცებულებანი, რომ საქართველო მოქმედებდა ოსების და აფხაზეთის, როგორც ეთნოსის განადგურების მიზნით, ანუ შეგებულად ახორციელებდა გენოციდს. და მხოლოდ გამარჯვებულად დასამხრეთ რუსეთის მოძმე ხალხების მხარდაჭერა დაეხმარა სამხრეთ ოსეთს და აფხაზეთს

გაეძლია უსასტიკეს ომში და დაეცვათ თავისუფლება“, - აღნიშნულია მიმართვაში.

„საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ, რაც მოხერხდა რუსეთის ფედერაციის მიერ გაღებული ძალისმიერი წყალობით, საქართველოს ახლოუტყურად არაფერი გაუკეთებია იმისთვის, რომ აენაზღაურებინა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მიყენებული ზარალი, იგი უარს ამბობს იკისროს ოფიციალურ დონეზე პასუხისმგებლობა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობებისა და აგრესიისთვის, - აღნიშნულია დოკუმენტში. - მას შემდეგ, რაც ხელისუფლების სათავეში მოვიდა მიხეილ სააკაშვილი, საქართველო ახორციელებს კიდევ უფრო აშკარა რევანშისტულ პოლიტიკას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ. 2004 წელს საქართველომ სცადა შეჭრილიყო სამხრეთ ოსეთში, მაგრამ ამ ავანტიურის ჩაშლის შემდეგაც კი არ აუღია ხელი თავის აგრესიულ გეგმებზე“.

„უზუცესები აცხადებენ, რომ საქართველოს ლიდერები სხვადასხვა საბაზით ამბობენ უარს საომარი მოქმედების განუახლებლობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერაზე და ამით იტოვებენ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის წინააღმდეგ სამხედრო რევანშის უფლებას. „საქართველო ყოველწლიურად ზრდის თავის სამხედრო პოტენციალს შეერთებული შტატების და

ნატოს წევრი ქვეყნების დახმარებით, ამ ბოლო ხანებში ქვეყნის მილიტარიზაციამ უაღრესად სახიფათო დონეს მიაღწია. ქართველი პოლიტიკოსების აგრესიული რიტორიკის ფონზე ყოველივე ეს უქმნის სერიოზულ საფრთხეს უშიშროებას კავკასიაში. კოდორის ახალმა ავანტიურამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ საქართველო არის აბსოლუტურად არასაიმედო პარტნიორი მოლაპარაკების პროცესში, და ამან უკიდურესობამდე გაამწვავა ვითარება როგორც აფხაზეთში, ისე მთლიანად რეგიონში“, - გაუზიარეს უზუცესებმა თავიანთი შეფასება პუტინს.

„მთელი სირთულეებისა და მუქარის მიუხედავად, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი განაგრძობენ თავიანთი დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას, ქმნიან პოლიტიკურ ინსტიტუტებს, ეკონომიკურ სისტემას, ავიტარებენ სამოქალაქო საზოგადოებას. ორივე რესპუბლიკაში გამართულმა საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმებმა კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი, რომ სამხრეთ ოსეთს და აფხაზეთს მტკიცედ აქვთ გადწყვეტილი არ გადაუხვიონ დამოუკიდებელი დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოებრივი გზიდან და მიაღწიონ საერთაშორისო გაერთიანების მიერ მათი სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღიარებას“, - ხაზგასმულია განცხადებაში.



ცნობა

ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შე-

სახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 8 მაისის №51 დადგენილების საფუძველზე, ქ. თბილისის საკრებულოში მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცებასთან დაკავშირებით ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით.

საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი

ქ. თბილისის საკრებულო დადგენილება №51

8 მაისი 2007 წ

ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება. 2. ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი მიღებულ იქნეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 1 თვის ვადაში.

- 1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 211-ე და 213-ე მუხლების შესაბამისად ქ. თბილისის საკრებულომ დაადგინა „ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება. 2. ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი მიღებულ იქნეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 1 თვის ვადაში. 3. დადგენილება, ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ, სადაც მითითებული იქნება დაინტერესებულ პირთა მიერ მოსაზრებათა წარდგენის შესახებ, ასევე ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის პროექტი, განმარტებითი ბარათი, რომელშიც აისახება ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები, იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება, გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“. 4. დადგენილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება გარდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული შემთხვევებისა. 5. დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტის მიღება გამოწვეულია „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი დამატებებით.

აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ შესაძლებელი გახდება „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა საბჭოს“ მიერ დადგენილი წესით განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის გაზრდა. მოსაკრებლის გადახდელნი გახდებიან ფიზიკური ან იურიდიული პირები, რომლებმაც განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის შეცვლის მიზნით მიიღეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება. „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი დამატება ფიზიკურ და იურიდიულ პირებს მისცემს საშუალებას სპეციალური (ზონალური) შეთანხმების შემთხვევაში შეცვალონ განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებელი. მოსაკრებლის ოდენობა სპეციალური ფორმულით დგინდება და მისი ოდენობა შეესაბამება კვ.მ მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის ნამრავლს შესაბამისი ზონისა და ფუნქციის ფარგლებში წარმოდგენილ ნამატ სამშენებლო ფართობზე. „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა საბჭოს“ რეკომენდაცია ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის წარდგინებით გაზარდოს განაშენიანების კო-

ეფიციენტები. დადგენილია „თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებში“ (უფლებრივი ზონირება) და განსაზღვრულია „სპეციალური ზონალური“ ნებართვით დაშვებული სახეობების ფარგლებში.

„უფლებრივი ზონირება“ მოქმედებს 2001 წლიდან, ხოლო ანალიზისათვის შეფასებულ იქნა უკანასკნელი 4 თვის (2006 წლის ნოემბრიდან და 2007 წლის 2 მარტის ჩათვლით) განმავლობაში „სპეციალური ზონალური“ ნებართვით გაცემული 17 ნებართვა, რაც შეესაბამება 65600,0 კვ.მ დამატებით სამშენებლო ფართობს და თუ ეს ფართობი ჰიპოთეტურად დაუკავშირდება მოსაკრებელს, მიღებული იქნება ამ პერიოდში გადასახდელი თანხის (11 000 000,0 ლარი) ოდენობა.

ნამატ სამშენებლო ფართობზე მოსაკრებლით მიღებული საბიუჯეტო შემოსავლის რეალური ღირებულება და მნიშვნელობა განპირობებულია აუცილებელი, დღევანდელი და უახლოესი მომავლისათვის განსაზღვრული კონკრეტული ეკონომიური ეფექტით.

ამავდროულად აღსანიშნავია ისიც, რომ ქალაქის მასშტაბით ნამატმა სამშენებლო ფართობმა ხანგრძლივი პერსპექტივის გათვალისწინებით შესაძლებელია გარკვეულწილად გააუარესოს ზოგადი ქალაქგეგმარებითი მოთხოვნები და ლოკალურ ტერიტორიებზე მოსახლეობისა და სამშენებლო ფართობის ზენორმატიული ზრდა გამოიწვიოს.

მოსაკრებლის შემოღება გარკვეულწილად შეაფერხებს ამ პროცესს; მოსაკრებელი დაარეგულირებს ნამატ სამშენებლო ფართობზე მოთხოვნას; შესაბამისი ტექნიკური ინფრასტრუქტურის განვითარება შეძლებისდაგვარად შეამსუბუქებს სიმჭიდროვით გამოწვეულ ქალაქგეგმარებით პრობლემებს; დააჩქარებს ქვეყნის ეკონომიური ზრდის პროცესს და, შედეგად, სამშენებლო ბაზარზე მოსახლეობასა და ინვესტორს შორის მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსებით კიდევ უფრო შეამცირებს კოეფიციენტის ზრდასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

მოსაკრებლის გადახდა მოხდება მშენებლობის ნებართვის გაცემისას, რომელიც მთლიანად ჩაირიცხება ქ. თბილისის ბიუჯეტში. მოსაკრებლის გადახდევინებისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრება ქ. თბილისის მერიის უფლებამოსილ საქალაქო სამსახურს. ანუ მოსაკრებელზე ნებართვას გაცემის ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური და დამტკიცების ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა საბჭო მხოლოდ მას შემდეგ, რაც დასაბუთდება ფართობის გაზრდის შესაძლებლობა.

გადაწყვეტილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს რაიმე სახის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვას.

პროექტის ავტორია ქ. თბილისის მერია. პროექტის წარმდგენია ქ. თბილისის მერი.

პროექტი

ქ. თბილისის საკრებულო გადაწყვეტილება №

ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

- 1. „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტისა და მე-12<sup>2</sup> მუხლის და „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დამტკიცდეს ქ. თბილისის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემაზე მოსაკრებლის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქცია. 2. გადაწყვეტილება ძალაშია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საკრებულოს თავმჯდომარე: ზ. ბეგაშვილი  
საკრებულოს მდივანი: თ. ძურხული

ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქცია

- 1. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა გულისხმობს ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის გაზრდას; 2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადახდელია ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის შეცვლის მიზნით მიიღო სპეციალური (ზონალური) შეთანხმება; 3. მოსაკრებლის ოდენობა გამოიანგარიშება ფორმულით:

X = - (K2^1 - K2) S / K^2

- სადაც: 1. X არის მოსაკრებლის ოდენობა; 2. L არის 1 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი; 3. K2^1 არის მიწის ნაკვეთისათვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე მისანიჭებელი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი; 4. K2 არის მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი; 5. S არის სამშენებლო მიწის ნაკვეთის ფართობი. 4. მოსაკრებლის ოდენობა, ნამატი, სამშენებლო ფართობის ერთ კვადრატულ მეტრზე გაანგარიშებით არ უნდა აღემატებოდეს 400 ლარს; 5. მოსაკრებელი გადაიხდებიან მშენებლობის ნებართვის გაცემისას; 6. მოსაკრებლის გადახდა წარმოებს ბანკის მეშვეობით და იგი მთლიანად ჩაირიცხება ქ. თბილისის ბიუჯეტში, წინასწარ განსაზღვრულ ანგარიშზე; 7. მოსაკრებლის გადახდევინებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ქ. თბილისის მერიის უფლებამოსილ საქალაქო სამსახურს.

№ 100. საქართველო. 29 მაისი. 2007 წელი.



გასულ უქმეებზე მოჭადრაკეთა გუნდურ მსოფლიო ჩემპიონატზე ორი ტურის პარტიები გათამაშდა. სასიხარულოა, რომ საქართველოს ნაკრებმა აქტივში 4 ქულა ჩაინერა და მე-



საქართველოს ნაკრებში მონაწილე მარია კორნილიძე

ორბიტაზე

„მაკლარენის“ დუბლი



სწორედ რომ „მაკლარენის“ ორმა პილოტმა - ფერნანდო ალონსო და ლიუსი ჰემილტონმა დაიკავეს ავტობოლაში „ფორმულა-1“ მსოფლიო ჩემპიონატის მეხუთე ეტაპზე, - „მონაკოს გრან-პრი“ - კვარცხლბეკის ზედა საფეხურები და უფრო განამტკიცეს თავიანთი საჯინბოს ლიდერობა.

მონტე-კაროს ურთულეს საქალაქო ტრასაზე შეჯიბრების მონაწილეებმა 78 წრით 269, 520 კმ გაიარეს 34 გრადუსამდე გახურებულ ასფალტზე. ალსანიშნავია, რომ მონტე-კაროსტოში გამარჯვებას მთელ ჩემპიონატზე წარმატებას უთანაბრებენ, თანაც გულშემატკივართა შორის კანის ფესტივალზე ჩამოსული უამრავი კინო-ვარსკვლავიც იყო.

რობოლამ, ფაქტობრივად, პირველობისთვის „მაკლარენის“ პილოტების ორთაბრძოლაში ჩაიარა. ფინიშთან პირველი მივიდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ის ქულებით წამოწია თანაგუნდელს, თანაც რადგან ორ ეტაპზე გამარჯვებულიც იყო, ლიდერობა მას მიაკუთვნეს.

ამჯერად პოდიუმზე მესამე იყო „ფერარის“ ბრაზილიელი მრბოლი ფელიპე მასსა, მისი თანაგუნდელი კი რაიკონენი კი მხოლოდ მეოთხე მივიდა ფინიშთან.

ხუთი ტურის შემდეგ მრბოლთა პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: ალონსო - 38 ქულა, ჰემილტონი - 38, მასსა - 33, რაკონენი - 23, ჰიდფელდი - (ბმვ-ზაუბერი) - 18. კონსტრუქტორთა თასისათვის ბრძოლაში 76 ქულით „მაკლარენი“ ლიდერობს, მეორეზეა „ფერარი“ - 56, მესამეზე - ბმვ - 30. სურათზე: ფერნანდო ალონსო.

ეროვნული თასი

უემთხვევით არაფერი ხდება

მესამე და სამართალი - გვაუწყებდა ეროვნული სტადიონის აღმოსავლეთ ტრიბუნაზე გადმოფენილი ზესტაფონელ გულშემატკივართა პლაკატი. სურვილი, იცოცხლეთ, კარგია, მაგრამ თითქოს დაითარსნენო, ყვირილსაპირელები ზედიზედ მესამედ დამარცხდნენ დავით ყიფიანის სახელობის „ყაზბეგის“ თასის გათამაშების ფინალში, აქედან მიჯრით მეორედ - „ამერთან“ 0:1 (ტატანაშვილი).

მოაყენა ამასწინანდელ ვაიარჩევნებში „ცეკას“ მიერ თავისუფლების ინსტიტუტის ფეხბურთის ფაკულტეტის დეკანად დანიშნული ნოდარ ახალკაცის კანდიდატურა. ასეთი სამარცხვინო მასკარადის შემდეგ საფიქრებელი იყო, რომ თავმოყვარეობა საშუალებას არ მისცემდა სკამის მონას საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას 40 დღის განმავლობაში მაინც გამოჩენილიყო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ - თითქოს არაფერი მომხდარაო, მან პროფილის პრეზიდენტ დიმიტრი რამიშვილთან ერთად გამარჯვებულთა კაპიტანისთვის მთავარი ჯილდოს გადაცემაც არ ითაკილა (სიმბოლურია, რომ თასი იქვე დაიმსხვრა).



რაც შეეხება თვითმატქს, შესვენებამდე საგრძობ უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ, თუმცა გლდანელთა მეკარე ქვაჩახიას შესანიშნავმა თამაშმა მათი დანინაურება შეუძლებელი გახადა. ამას ისიც დამატა, რომ თემურ მახარაძემ გაუმართლებლად დააგვიანა მოედანზე წლევანდელ სეზონში გუნდის საუკეთესო ბომბარდირის ფიფიას გამოყვანა. რაც შეეხება თვითმატქს, შესვენებამდე საგრძობ უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ, თუმცა გლდანელთა მეკარე ქვაჩახიას შესანიშნავმა თამაშმა მათი დანინაურება შეუძლებელი გახადა. ამას ისიც დამატა, რომ თემურ მახარაძემ გაუმართლებლად დააგვიანა მოედანზე წლევანდელ სეზონში გუნდის საუკეთესო ბომბარდირის ფიფიას გამოყვანა.

ჭადრაკი

მედლის შანსს ინარჩუნებენ

ბასულ უქმეებზე მოჭადრაკეთა გუნდურ მსოფლიო ჩემპიონატზე ორი ტურის პარტიები გათამაშდა. სასიხარულოა, რომ საქართველოს ნაკრებმა აქტივში 4 ქულა ჩაინერა და მესამე ადგილზე მყოფი მედლის შანსს ინარჩუნებს.

შაბათს ჩვენები პოლონელებს ხვდებოდნენ. მაია ჩიბურდანიძე მონიკა სოცკოს დაუზავდა. ასეთივე შედეგით დამთავრდა სოფიო გვეტაძისა და მარტა პუუბდეცაიას პარტია. ლელა ჯავახიშვილმა, რომელიც შეუდარებელია ამ ტურნირზე, ივეტა რაძიევიჩს სძლია, ნინო ხურციძემ კი იოლანტა ზავადსკა დაამარცხა.

მეექვსე ტურის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ვიეტნამი - ბოტსვანა 4:0, გერმანია - ჩეხეთი 2:2, ჩინეთი - სომხეთი 3,5:0,5, რუსეთი - უკრაინა 2:2. გაუწყობთ მე-7 ტურის შედეგებს: საქართველო - ვიეტნამი 2,5:1,5, უკრაინა - პოლონეთი 2,5:1,5, სომხეთი - რუსეთი 1,5:2,5, ჩეხეთი - ჩინეთი 0,5:3,5, ბოტსვანა - გერმანია - 0:4. შვიდი ტურის შემდეგ სატურნირო მდგომარეობა ასეთია: ჩინეთი - 13 (24), რუსეთი - 11 (16,5), საქართველო - 10 (17), უკრაინა - 10 (16,5), გერმანია - 7 (14,5), ვიეტნამი - 7 (14), პოლონეთი - 5 (13), სომხეთი - 4 (14), ჩეხეთი - 3 (10,5), ბოტსვანა 0 (0).

ბატუტაზე ხტობა

რეპეტიცია სანაპიროზე


იზნისის მიწურულს სოფიაში ბატუტაზე მსტომელთა მსოფლიო თასის ეტაპი გაიმართება. ამ შეჯიბრებისთვის მზადების მიზნით, თბილისის სანაპიროზე მდებარე ტანვარჯიშულ სახეობათა სპორტდარბაზმა საქართველოს თასის გათამაშებას უმასპინძლა. შეჯიბრებაში თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის წარმომადგენლები (მწვრთნელებმა ლუბა გოლოვინა და ნანა ლუჭაშვილი დაასვენეს) მონაწილეობდნენ. ოსტატთა პროგრამით საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: გოგონები. 1. სოფიო გულიაშვილი, 2. თეონა ტყეშელაშვილი, 3. ლიკა სამხარაძე. ვაჟები. 1. თეიმურაზ კოშკაძე, 2. გიორგი ფუტყარაძე, 3. როსტომ კალოვი. ოსტატობის კანდიდატის პროგრამით პირველ ადგილებზე ნანა გოგაშვილი და მათე სოზიაშვილი გავიდნენ.

ცოტა ადრე ხომ არ იყო?

ასამა კითხვა დაებადა რუსეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელს ვალერა კულიჩენკოს, როდესაც სოჭში სრულიად რუსეთის შეჯიბრებებზე 23 წლის უროს მტყორცნელმა ქალმა ტატიანა ლისენკომ მეოთხე მსოფლიოს რეკორდი დაამყარა - 78,61, რითაც 81 სანტიმეტრით გააუმჯობესა თავისი ადრინდელი მიღწევები. მთავარ მწვრთნელს მიაჩნია, რომ ტატიანამ თავისი სპორტული ფორმის მწვერვალს ძალზე ადრე მიაღწია, მსოფლიო ჩემპიონატი კი ოსაკაში მხოლოდ სამი თვის შემდეგაა. ლისენკომ მსოფლიო რეკორდები ადრე, 2005 (მოსკოვი), 2006 (უუკოვსკი და ტალინი) წლებში დაამყარა.

ბექჭემი ესპანეთს ეთხოვება

შეიძლება ითქვას, უბრწყინვალესი ბოლოსწინა მატჩი ითამაშა დევიდ ბექჭემმა მადრიდის „რეალის“ შემადგენლობაში. სამეფო კლუბმა ქვეყნის ჩემპიონატის 36-ე ტურში დაამარცხა „დეპორტივო“ - 3:1. მართალია, სტუმრებმა გააპროტესტეს პირველი გოლი, რომელიც სერხიო რამუსმა გაიტანა. ის თითქოს ვან ნისტერლოიმ მას ხელის დახმარებით ჩაწოდა. თუმცა პირველი საგოლე კომბინაციაც ბექჭემმა წამოიწყო. მაგრამ იდეალურად მიიჩნევენ დევიდის მეორე პასი, ბურთი პირდაპირ თავზე რომ დაასვა რაულს. მეორე ტაიმშიც მისი დარტყმული საჯარიმო ძელმა აიციდინა. მატჩის დამთავრების შემდეგ გულშემატკივრებმა ოვაციები გაუმართეს ბექჭემს, რომელიც ისევ მიიწვიეს ინგლისის ნაკრებში, შემდეგ კი იგი ამერიკაში გაემგზავრება.



სურათზე: დევიდ ბექჭემი ეთხოვება სტადიონ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ შეკრებილ გულშემატკივრებს.

ფეხბურთი




უკრაინის სყარონებზე

იტალია. ბოლო ტური. „ინტერი“ - „ტორინო“ 3:0, „რომა“ - „მესინა“ 4:3, „სიენა“ - „ლაციო“ 2:1. პრიზიორები: „ინტერი“ - 97, „რომა“ - 75, „ლაციო“ - 62 ქულა. ბომბარდირი: ტოტი („რომა“) - 26 გოლი. ესპანეთი. XXXVI ტური. „რეალი“ - „დეპორტივო“ 3:1, „ბარსელონა“ - „ხეტაფე“ 1:0, „სევილია“ - „სარაგოსა“ 3:1. ლიდერთა ჯგუფი: „რეალი“, „ბარსელონა“ - 72-72, „სევილია“ - 70 ქულა. ბომბარდირი: ვან ნისტელროი („რეალი“) - 23 გოლი. შემდეგი ტური: „სარაგოსა“ - „რეალი“, „ბარსელონა“ - „ესპანოლი“, „მალიორკა“ - „სევილია“. საფრანგეთი. ბოლო ტური. „ლიონი“ - „ნანტი“ 3:1, „მარსელი“ - „სედანი“ 1:0, „ტულუზა“ - „ბორდო“ 3:1. პრიზიორები: „ლიონი“ - 81, „მარსელი“ - 64, „ტულუზა“ - 58 ქულა. ბომბარდირი: პაულეტა („სეს“) - 15 გოლი. რუსეთი. XI ტური. ცსკა - „ზენიტი“ 2:0, „კრილია“ - „დინამო“ 3:2, „ხიბკი“ - „სპარტაკი“ 3:0.

№ 100. სპორტი. 29 აპრილი. 2007 წელი.



„მოზანავე გოგონას“ ისტორიული წინაპარი ჰყავს — ლუვრში დაცული ენგრის „მოზანავე ქალი“. გერმანელი ფერმწერი ინსპირაციას ხელოვნების ისტორიიდან ნახატებში ეძებდა. ამ ნამუშევრით ის პირადულ და ეროტიკულ თემას ფარავს და მისთვის ისტორიული არგუმენტაციის მინიჭებას ცდილობს



მოცილებაც. რისტერის წითელი კვადრატის შინაარსი სიმბოლიკის მატარებელი არ არის, ეს სხვა არაფერია თუ არა მხატვრის ხელში ფერის ზემოქმედება და ნაწილობრივ დაზარალებული ნახევარტონის თანხლებით შექმნილი ზედაპირები, რომლებიც უმალ წითელ კაბას გვაგონებს. „ბუტი“ — ეს ნამუშევარი იმ ფოტოს ამოსავალი წერტილია, რომელიც 1978 წელს რისტერმა თავის ქალიშვილს გადაუღო დამწლის შემდეგ დახატა. სურათზე გამოსახული ადამიანი მკურნებლის კენ ბრუნდება, სახეს გვარიანდებს, თითქოს იმ დროს მისი ყურადღება სხვა რამეს მიექცოდა. რისტერის მხატვრობა აქ დიფერენცირებულია... იყო დრო, როცა რისტერის მუშაობაში სოცრეალისტური მხატვრობა ფიგურირებდა, მაგრამ მიმართულება შეიცვალა და სოცრეალისტური მხატვრობის ნაცვლად მის შემოქმედებაში ნამყვანი ხდება „არაფორმალური“ (informell) მხატვრობა და Pop Art-ი. სწორედ ეს ცვლილება იწვევს რისტერის ხელოვნებაში არსებულ ყოველგვარი დამაჯერებლობისა და დოგმების უარყოფას. რისტერის ნამუშევრები საქართველოში პირველად ჩამოვიდა. ექსპოზიცია თბილისის გოეთეს ინსტიტუტის და ეროვნული მუზეუმის ორგანიზატორებით მოეწყო უცხოეთთან ურთიერთობის ინსტიტუტის დახმარებით.

გუგუხა მახარაძე

რეტროსპექტივა


„ჩემი სურათები ჩემზე ჭკვიანია...“

სულ 27 ნამუშევარი... 60-იანი წლების ფოტომხატვრობიდან 90-იანი წლების აბსტრაქტულ ფერწერამდე... თანამედროვეობის ყველაზე ცნობილი გერმანელი ხელოვანი თბილისში გამოიფინა... „ქარვასლაში“ წარმოდგენილი მონოგრაფიული ექსპოზიცია გერმანელი რისტერის შემოქმედების მცირე რეტროსპექტივაა... ეს ნამუშევრები თავად ავტორის მი-

ისტორიიდან ამიკრეფილი ციტატების მიღმა რისტერისთვის ყველაზე დიდი და ერთაერთი თემა არის მხატვრობა, რომლის ენასა და საშუალებებსაც ის ყოველ ახალ ფაზაში ახლებურად განიხილავს და მხატვრობაში საინტერესო, თუმცა ერთი შეხედვით მარტივ, ხანაც არაფრისმთქმელ ექსპერიმენტებს გვთავაზობს. ასეთი ექსპერიმენტული კომპოზიციები თეთრ კედლებზე ჩამოკიდებულია მდუმარედ, დამთვლიერებლებს კი ფიქრისკენ უბიძგებს... შემოქმედებითი

ლასის“ სახელით. სწორედ აქედან ირჩევს რისტერი მოტივებს, რომლებსაც შემდეგ ადიდებს ან ცალკეული ფრაგმენტების სახით გადააქვს თავის ნამუშევრებზე. ყვავილების ნატურმორტები რისტერის შემოქმედებაში 50-იანი წლებიდან ჩნდება და ისიც იშვიათად. „ორქიდეაში“ მხოლოდ ყვავილი მოჩანს, მაშინ, როცა ქოთანს და მაგიდის სიბრტყე თვალს მოფარებულია. ყვავილობის სიმბოლიკა წარმოდგენილი საქმის სრულყოფილებიდან გამომდინარეობს. ეს

ნებოდა და მოსამზადებელი ეტაპი იყო ნატურმორტებამდე მისასვლელად. ბუნების პეიზაჟი „ხეობა“ იმდენადვე მაცდურია, რამდენადაც ულმოველი და დამორგუნველი ჩანს. აქ ფიგურა არ ჩანს, თუმცა მაყურებელს იზიდავს ქალის სილუეტი, რომელიც სივრცეში ასოციაციურად მაყურებელს წარმოადგენს. აქ გააზრებულია დისტანციისა და დაკარგულობის განცდა, რომელსაც მხატვარი ბუნებას უკავშირებს. „მოზანავე გოგონას“ ისტორიული წინაპარი ჰყავს — ლუვრში დაცული ენგრის „მოზანავე ქალი“. გერმანელი ფერმწერი ინსპირაციას ხელოვნების ისტორიიდან ნახატებში ეძებდა. ამ ნამუშევრით ის პირადულ და ეროტიკულ თემას ფარავს და მისთვის ისტორიული არგუმენტაციის მინიჭებას ცდილობს. რისტერი უპირისპირდება მოდერნისტულ ავანგარდს და მის ნებას — ფორმალური რადიკალიზაციით ისტორიასთან კავშირი განწყვიტოს. მისი ფერწერა ენგრის მიმდევარია იმ კუთხით, რომ თავის დროს შეესატყვისება. აქ ქალის ფიგურას მხატვარი ფრონტალურად წარმოადგენს და ცდილობს შეფაროს მისი ტორსი. განსხვავებული ფაქტურით გამოირჩევა „აბსტრაქტული სერები“, რომლისთვისაც დამახასიათებელია არა მხოლოდ ფერის დადება, არამედ მისი



ერ არის შერჩეული და მისი შემოქმედების თითქმის ყველა პერიოდს მოიცავს... „ჩემი სურათები ჩემზე ჭკვიანია... მე არ მივდეგ არავითარ გემას, სისტემას თუ მიმართულებას, არ გამაჩნია პროგრამა, სტილი და მიმდინარეობა,“ — ამბობს მხატვარი. და მაინც, სხვადასხვა მოტივის, სტილისა და ხელოვნების

ბიოგრაფიიდან როგორც ჩანს, 1962 წელს მან პირველად გამოიყენა ფოტოგრაფია მხატვრული ასპექტების გადმოსაცემად და... მას შემდეგ ის აგრძელებს ფოტოებს თავისი ნამუშევრებისთვის. ასე შექმნა დიდი ფოტოარქივი, რომელშიც ყველაზე ძველი ფოტო 1945 წლით თარიღდება. მისი მდიდარი ფოტოკოლექცია 1972 წელს პირველად გამოიფინა „ატ-

ყვავილი მხოლოდ თაიგულების ნაწილია და ეს სურათიც ფოტოდან ამონარიდად ითვლება, აქ სივრცის სიღრმე ბუნდოვანი და შორეული ხდება. სივრცისა თუ დროის ამგვარი ხედვით რისტერი ფრთხილად უახლოვდება ისტორიულად უხვად წარმოდგენილ ნატურმორტების ტიპს. ამ ეტაპამდე ის სანთლებსაც ხატავდა, რაც სერიებად არ იქმ-



ნებოდა და მოსამზადებელი ეტაპი იყო ნატურმორტებამდე მისასვლელად. ბუნების პეიზაჟი „ხეობა“ იმდენადვე მაცდურია, რამდენადაც ულმოველი და დამორგუნველი ჩანს. აქ ფიგურა არ ჩანს, თუმცა მაყურებელს იზიდავს ქალის სილუეტი, რომელიც სივრცეში ასოციაციურად მაყურებელს წარმოადგენს. აქ გააზრებულია დისტანციისა და დაკარგულობის განცდა, რომელსაც მხატვარი ბუნებას უკავშირებს. „მოზანავე გოგონას“ ისტორიული წინაპარი ჰყავს — ლუვრში დაცული ენგრის „მოზანავე ქალი“. გერმანელი ფერმწერი ინსპირაციას ხელოვნების ისტორიიდან ნახატებში ეძებდა. ამ ნამუშევრით ის პირადულ და ეროტიკულ თემას ფარავს და მისთვის ისტორიული არგუმენტაციის მინიჭებას ცდილობს. რისტერი უპირისპირდება მოდერნისტულ ავანგარდს და მის ნებას — ფორმალური რადიკალიზაციით ისტორიასთან კავშირი განწყვიტოს. მისი ფერწერა ენგრის მიმდევარია იმ კუთხით, რომ თავის დროს შეესატყვისება. აქ ქალის ფიგურას მხატვარი ფრონტალურად წარმოადგენს და ცდილობს შეფაროს მისი ტორსი. განსხვავებული ფაქტურით გამოირჩევა „აბსტრაქტული სერები“, რომლისთვისაც დამახასიათებელია არა მხოლოდ ფერის დადება, არამედ მისი

გამოფენა

გენეციის ქართული სეზონი

თანამედროვე და უცნაური, ავანგარდული და ექსცენტრიული, თუმცა, მაინც ტრადიციული. ვენეციის ბიენალე ყოველთვის ამ ნიშნებით გამოირჩევა. წლეულს, თანამედროვე ხელოვნების ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოფენა სხვა ქვეყნებთან ერთად საქართველოსაც უმასპინძლებს. რიგით 52-ე ბიენალეზე საქართველო, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, პირველად წარსდგება. ჩვენს ქვეყანას ექნება საკუთარი პავილიონი და მას წარადგენს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო. საქართველოს პავილიონში მრავალფეროვანი პროექტები იქნება წარმოდგენილი. კულტურის სამინისტროს სპეციალურმა კომისიამ ვენეციისათვის სამხატვარი შეარჩია. ესენი არიან თამარ კვეციანი, ეთერ ჭკადუა და სოფო ტაბატაძე. სამივე ავტორს განსხვავებული ხედვა აქვს და ერთმანეთისგან არა


მხოლოდ მხატვრული გემოვნებით და მსოფლმხედველობით გამოირჩევიან, არამედ გამომსახველობის თანამედროვე თუ ტრადიციული ხერხებით. რით წარსდგებიან ქართველი მხატვრები ვენეციის ბიენალეზე? თამარ კვეციანი გამოფენაზე წარადგენს პროექტს (RE-TURN), რომლის თანაავტორები არიან პაატა სანაია და ზურა გუგულაშვილი. პროექტი ერთი ინსტალაციისა და რამდენიმე მექანიკური ფიგურისაგან შედგება. მასალად მხატვარი იყენებს მინაბოჩკოს, მეტალს და სხვა მექანიკურებს. მექანიკური ფიგურები მოძრაობაში გარდასახვის პროცესს გამოხატავენ და ყოველივე ეს აისახება იმ სივრცეზეც, სადაც ისინი არიან განთავსებული. ნამუშევრის კონცეფცია ეფუძნება მექანიკურისა და ორგანული ურთიერთმიმართებას. ეთერ ჭკადუა ფერმწერია და დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს.



თავის შემოქმედებაში მხატვარი იყენებს ტრადიციულ მხატვრულ ხერხებს. იგი მოგზაურობის მოყვარულია და ექსპოზიციაზე ქართულ შთაბეჭდილებებთან ერთად ნიუ-იორკული, იამაიკური და მაიამური შთაბეჭდილებებით შექმნილ რეალისტურ ტილოებს გამოფენს. სოფო ტაბატაძე თავის ინსტალაცი-

აში, რომელსაც ეწოდება „ჰუმან ქონს ანდერ ქონ“, რაც ქართულად, სიტყვით — სიტყვით, „შენების დროს ადამიანის მდგომარეობას“ ასახავს არქიტექტურული ფორმების გამოყენებით. მისთვის არქიტექტურული ცნება მრავალ ასპექტს მოიცავს. მხატვარი ცდილობს გამოავლინოს ადამიანის ნახელავი მისივე შექმნილ გარემოში. დისბალანსის ხაზგასასმელად იგი გამოყოფს გარკვეულ დეტალებს, ხოლო სხვა ნაწილებს დაუსრულებელს ტოვებს. მას სურს გვიჩვენოს, რომ ჩვენ გვიჭირს ალვიქვით საგანი მთლიანობაში — როგორც სივრცეში, ისე დროში და ამას პერმანენტული ამნეზიის მდგომარეობამდე მივყავართ. სოფო ტაბატაძემ ეს ინსტალაცია საგანგებოდ ვენეციური ექსპოზიციისთვის შექმნა. ნაჭერსა და პანოებზე გადატანილი ნახევრადდაუმთავრებელი შენობის ფოტოები მხატვრის აზრით, ყველაზე კარგად გამოხატავს თანამედროვე ქართველი ადამიანის ბუნებასა და ხასიათს, ასევე დღევანდელ ყოფას. სოფო ტაბატაძის ნახელავია აგრეთვე საგანგებოდ საქართველოს პავილიონისათვის შექმნილი ფარდაც. როგორც გამოფენის კურატორი ნინო ჭოლოშვილი ამბობს, საქართველოს პავილიონი საუკეთესო ადგილას განთავსდება — გამოფენის ცენტრალურ ადგილას. ვენეციის ბიენალე ათ ივნისს გაიხსნება და თვის ბოლომდე მას მსოფლიოს მრავალი ქვეყნის უამრავი დამთვლიერებული ენვევა.

რუსუდან მუსიგულაშვილი  
სურათი: გამოფენის ექსპონატი



№ 100. სამსაბათი. 29 მაისი, 2007 წელი.

მწერლობა-XXI
საქართველოს რესპუბლიკის მწერლობა-XXI
საქართველოს მწერლობა-XXI

ახალი ჟურნალი

შემოქმედთა „მეკვლე და მეინახე“

ქართულ მწერლობას კიდევ ერთი ახალი ჟურნალი შეემატა - „მწერლობა-XXI“, რომლის რედაქტორია მწერალი ლაშა გვასალია.

„მწერლობა-XXI“ დევიზად წამძღვარებული აქვს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ დასაწყისი და ამით საკუთარი თავის მიზანზე მიგვანიშნებს - მოემსახურება ტრადიციულ ქართულ მწერლობას და მის სულიერებას.

ვაპრობა გამოქვეყნებული ირინა ტალიაშვილის მოთხრობა „ბერიკაცი“, გაგა ვიქონიას - „შურისძიება“, ბესო ხვედელიძის „მამა“, ლაშა გვასალიას „დედელი და“.

ქართველი საეკლესიო მოღვაწის გრიგოლ ფერაძის თავგანწირვასა და უპედაგოგობაზე მოთხრობილი.

ბოლოს, გამოქვეყნებულია პოეტისა და პუბლიცისტის ანტონ არნანის გარდაცვალების გამო გამოსათხოვარი, ასევე მისი ლექსები.

რჩევა

იქნებ გვეცადა

ქაჩაშკის კარიესული დაავადება საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული მოსახლეობის სხვადასხვა ასაკოვან ჯგუფში, ხოლო ბავშვებში მან უკვე მასობრივი ხასიათი მიიღო.

იცარიელები თითქმის 40 წელია რაც კერძების მოსამზადებლად ჩვეულებრივი მარილის ნაცვლად ფტორირებულ მარილს იყენებენ და შედეგიც სახეზეა: ქვეყანაში თითქმის არ არის აღრიცხული ეს დაავადება.

იცარიელები თითქმის 40 წელია რაც კერძების მოსამზადებლად ჩვეულებრივი მარილის ნაცვლად ფტორირებულ მარილს იყენებენ და შედეგიც სახეზეა: ქვეყანაში თითქმის არ არის აღრიცხული ეს დაავადება.



შპს „სილკ ვეი“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა, გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. № 32/4. ტელ: 877 41-05-66.

განჩინება

პუბლიკაციის მეშვეობით საჯარო შეგყობინების შესახებ 28 მაისი 2007 წ. ძ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ვანო ნიკოლაშვილი ერთპიროვნულად განიხილა მოსარჩელე ლალი გვასალიას წარმომადგენლის მიხეილ სარჯველაძის შუამდგომლობა პუბლიკაციის მეშვეობით საჯარო შეგყობინების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმომადგენლის მიხეილ სარჯველაძის სარჩელი მოპასუხე მარიამ ბოჭორიშვილის მიმართ, უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობის თაობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი: სასამართლომ იხელმძღვანელო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-ე, 285-ე, 414-ე მუხლებით და დაადგინა:

- 1. ლალი გვასალიას წარმომადგენლის მიხეილ სარჯველაძის სარჩელის გამო სამოქალაქო საქმეზე №2/1038-07 მოპასუხე მარიამ ბოჭორიშვილის მიმართ, უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობის თაობაზე დაინიშნოს სასამართლოს მთავარი სხდომა 2007 წლის 05 ივლისი, 17სთ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, ქ. ნამებულის გამზ. №1).
- 2. ეცნობოს მოპასუხე მარიამ ბოჭორიშვილს, რომ თუკი იგი ან მისი უფლებამოსილი პირი არ გამოცხადდება სასამართლოს მთავარ სხდომაზე, ვალდებულია გამოუცხადებლობის მიზეზების თაობაზე წინასწარ აცნობოს სასამართლოს. მთავარ სხდომაზე მოპასუხის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის თანახმად, თუკი მოსარჩელე იშუამდგომლებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. თუ სარჩელში მითითებული გარემოებები, იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნებს, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.
- 3. განჩინების გამოქვეყნება გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“ საკუთარი ხარჯებით დაევალოს მოსარჩელეს.
- 4. განჩინება გამოიკრას თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში განცხადების დაფაზე.
- 5. სასამართლო უწყება მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეგყობინების შესახებ პუბლიკაციიდან ერთი თვის ვადაში.
- 6. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

მოსამართლე 3. ნიკლაური

განცხადება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აღდაგი ასისგანის“ კაპიტალის შემცირების შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აღდაგი-ასისგანის“ დირექტორატი იუწყება, რომ განხორციელდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აღდაგი-ასისგანის“ საწესდებო კაპიტალის შემცირება.

წლის 11 მაისის №10353/006-5/4-2359-შ.პ.ს. ბრძანების თანახმად, საზოგადოების საწესდებო კაპიტალი 83.450.00 (ოთხმოცდასამი ათას ოთხასორმოცდაათი) ლარიდან შემცირდა 200.00 (ორას) ლარამდე.

სააქციო საზოგადოება „მე-11 შერეული ტიპის პოლიკლინიკის“ აქციონერთა საყურადღებოდ განცხადება 2007 წლის 18 ივნისს 17 საათზე, ახუნდოვის ქ. №13-ში ტარდება სააქციო საზოგადოება

„მე-11 შერეული ტიპის პოლიკლინიკის“ აქციონერთა კრება. დღის წესრიგი: 1. წლიური შედეგების განხილვა; 2. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები; 3. მიმდინარე საკითხები.

ალეკო ასლანიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულა, იოსებ გობეჩია ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ გურამ გარუჩავას ოჯახს შვილის გომიტი ბარუჩავას გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 2 VI, ქ. სენაკში.

მარიამ, ნიკოლოზ, შალვა, მარინე, თამაზ, ელიზო, მარიჯან, ივანე, თემურაზ, ვახტანგ, ავთანდილ, თამუნა, თეონა, ლაშა, მირიან, გიორგი, უჩა, ვეფხია, მამუკა, ფიქრია, ბექა, ციალა, ნუკრი, მიხეილ, ამირან, ლაშა, ზაურ, ნელი, გრიშა, ჯემალ, ნათია, ჯაბა, ელზა, მაცაცო, გელა, გიორგი, შოთა, რამაზ, ნატო, მაკა, ნინო, ალექო, როსტომ მუმლაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შალვა ჩარკვიანი და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რიმა, ნიკოლოზ, მარინა, ირენა, ალექსანდრე ნეფედოვები, მარიკა მიქელაძე, ალექო მარლანია, თემურ ფანცულაია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობარი, ულამაზესი ქალბატონი გულიკო ხატიასვილი-ლორთქიფანიძე და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

ჰოდა, მიდით, სწორდით, სმენა!  
არ შეუდრკეთ ქარ-წვიმებს,  
ხალხი რწმენით შემოგყურებთ  
საქართველოს არწივებს!




## © ეძხვრომატი

### ხალხი რწმენით შემოგყურებთ!..

26 მაისს რუსთაველაზე სამხადრო აღლუმის სეარისას

კუშტი, მკაცრი სახეებით,  
მწყობრი, მტკიცე ნაბიჯებით,  
რუსთაველზე მიმოდინან  
ბიჭები და, რა ბიჭები!  
ბარბაქაძე... სალარაძე...  
თუშიშვილი და კოდუა...  
თქვენ მოგიწევთ კოკოითის  
და ბალაფშის დაკოდუა...  
ჰოდა, მიდით, სწორდით, სმენა!  
არ შეუდრკეთ ქარ-წვიმებს,  
ხალხი რწმენით შემოგყურებთ  
საქართველოს არწივებს!

ვილენ მარდალაიშვილი



## © „დრო, დრო აღნიშნა!“

### მოდე საზოგადოების ფოტოგრაფიანს წარმოგვიდგინს ფოტოჟურნალისტი გივი მახტანაბაძე



ორმოცდაათიანი წლების დასაწყისია,  
ჯერ კიდევ არ ანთებულა ტელევიზორანი  
ჩვენს ბინებში, მაგრამ პრესა და რადიო  
შთაგონებით გვაუწყებს საქართველოში  
დიდად საპატივცემულო ინდოელი სტუმ-  
რების ჯავაჰარლალ ნერუსა და მისი ქა-  
ლიშვილის ინდირა განდის ვიზიტის შე-  
სახებ. აი, ფოტოც: ინდოელი სტუმრები  
ათვალეურებენ რუსთავის მეტალურგიულ  
ქარხანას.

№ 100. სამსახურით. 29 მაისი, 2007 წელი.

## © ინფორმაცია

### აშკარა დაუჯერებელი

ქოველ წელიწადს საფრანგეთში 600 მილიონ ლოკოკინას  
მიირთმევენ. მსოფლიოში კი გურმანთა მოთხოვნილებას 100  
ათასი ტონა ლოკოკინა ეწირება.

იაპონიის ამჟამინდელი იმპერატორი მსოფლიოში  
უძველესი სამეფო კარის რიგით 125-ე წარმომადგენელია.  
იაპონიაში მისი დინასტია ჩვენს წელთაღრიცხვამდე 660  
წლიდან მეფობს.

## © ანეკდოტი

— მიხო, ჩანოლილხარ ოდეს-  
მე ძალიან შეუხედავ ქალს  
ლოკინში?

— არა, რალაც არ მაგონდე-  
ბა... სამაგიეროდ  
ძალიან სწორად  
გამღვიძებია ასე-  
თის გვერდით!



ძველ დროს ქალთა როლებს  
თეატრებში კაცები ასრულებ-  
დნენ.

დროთა განმავლობაში ამ  
ტრადიციამ შეუმწვევლად კუ-  
ლისებს მიღმა გადაინაცვლა.

— უპაცრავად, ახლახან აქ  
ცხვრების ფარას არ ჩაურბე-  
ნია?

— შენ რა, ჩამორჩი?

ტელეფონი რეკავს:

— თუ შეიძლება, ძუკუს  
სთხოვეთ.

— არ არის.

— სამსახურშია?

— არა.

— მივლინებაშია?

— არა.

— შევებულებაშია?

— არა.

— მე თქვენ სწორად გამი-  
გეთ?

— დიას!

წარმოებს უყვართ ბუდეების  
კომბოსტოში გაკეთება.


### გ ა ნ ს ხ ა დ ე ბ ა

დაიკარბა შავ საქალაქდემი ჩადებული  
საბუთები. მპოვნელი დასაჩუქრდება.  
ტელ: 899 53-22-99.

### © ლარის კურსი

29 მაისიდან დადგინდა ლარის ვიზარტი  
უცხოური ვალუტების შედეგი კურსი

ინგლისური გირვ. სტერლ.	1	3,3412 ლარი
აშშ დოლარი	1	1,6850 ლარი
ევრო	1	2,2813 ლარი
რუსული რუბლი	1	0,0653 ლარი
ამერბაიჯანული მანათი	1	1,9527 ლარი
სომხური დრამი	100	0,4732 ლარი
უკრაინული გრივნა	10	3,3593 ლარი



### თბილისის № 13 პოლიკლინიკის ჰორეონათიური განყოფილება

მალალკვალდიფიციური ექიმი-სპეციალისტები  
თ. ალაშვილი, თ. ჭანტურია, ი. ზუბაშვილი

მკურნალობენ: ალერგიულ, აუტოიმუნურ და  
ანთებით დაავადებებს, ტრომბოციტოპენიას,  
C-ჰეპატიტს, ალკოჰოლურ ციროზს, პროსტატის  
ანთებას და სხვა პათოლოგიებს.

მისამართი: რუსთაველის გამზირი 28/  
ა. ჭავჭავაძის ქ., 2.

ტელეფონი: 98-64-86;  
მოგილური: 8-99-55-99-61.

### რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

საქართველოს რესპუბლიკა  
SAKARTVELOS RESPUBLIKA  
აიფშო და ლაპაალონდა  
გამოცემლობა „მასიშუმი“  
მ. შოსტავეს ქ. №14. ტელ: 93-50-22.

გაზეთ „საბარტოველოს რესპუბლიკის“  
გამომცემლები  
შპს „ახალი საუკუნის“  
დამფუძნებელი ჟურნა-  
ლისტები. მისამართი:  
ქ. შოსტავეს ქ. №14.  
ტ. 899 537616; 98-96-33.

შპს  
„თანადგოვა“-  
ქ. შოსტავეს ქ. №12.  
ტ. 899 797679;  
98-96-32.

მთავარი რედაქტორი  
ალექს  
ასლანიშვილი  
მორიგე რედაქტორი  
ოთარ  
ტურაბალიძე

ინფექსი 66434,  
მისამართი: 0108, თბილისი,  
მ. კოსტავას ქ. №14.  
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.  
მთავარი რედაქტორის მოადგილე: 98-96-33.  
სარედაქციო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეკვეთილი მასალაზე ლაიბრუტა ავტორმა  
სარჩით. წარმომადგენელი უნდა იყოს უცხოურულ პრესაში  
აბაზან ავტორი, რომელსაც მისაზრებაში, შესაძლოა, მუდამ არ  
ვითხოვთ რედაქციის პრინციპს.

ავტორებს ვთხოვთ, მოგიზიარებთ ანაწილს 2-2,5 ნაბაჟ  
გავერდებთ მათი მოსულობის სტაბილს ნუ შემოგვთავაზებენ.